კლდე

ქართველ ნაციონალისტთა ორგანო

წელიწადი 2 / N. 9/10 / ბერლინი, მარტი / აპრილი
Jahrg. 2 / Nr. 9/10 / Berlin, MÄRZ / APRIL 1935

„Klde" / Der Fels
Organ der georgischen Nationalisten

რედაქციის მისამართი: Berlin - Charlottenburg 1
Eosanderstr. 3
Schriftleitung: Telefon: C 4 Wilhelm 1581

თანამემამულეთ — სამშობლოში და სამშობლოს გარეთ „კლდე“ ულოცავს ბრწყინვალე ქ~ეს-აღდგომას!

ბერლინი აპრილი ინგლისსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა; ევროპის დიდი პრესა (ერთა ლიგის ნიადაგზე მდგარი) ამ ფაქტის შეფასებაში იქამდის მიდის, რომ მას ახალი ხანის დაწყების სიმბოლოდ და ქვაკუთხედად სთვლის. უნდა ველოდოთ, რომ ეს პრესა მალე 70 მილიონ არარუსს—რუსებად გვაღიარებს და საბჭოთა კავშირს ეროვნული სხვადასხვაობის სახეს ჩამოხსნის. აი ამასაც მოგვასწრო მაღალმა ღმერთმა! . . .

ცხადია, რომ ამ წრეებში კარგი ხნის განმავლობაში ოფიციალური პოლიტიკა და ურთიერთობა რუსეთთან ამ შთაბეჭდილებებზე და შექმნილ შეფასებაზე იქნება დამყარებული . . . ამ ხალხის აზრით, მოსკოვში თურმე უტოპიისა და ავკაციანობის ხანა წყალს წაუღია დავიწყების წყვდიადისაკენ.

მოსკოვიც ცდილობს ამ აზრს „საბუთი“ მისცეს: გუშინდელი რევოლუციონერები, ნახევარი ქვეყანა რომ სისხლით წალეკეს, დღეს „მშვიდობიანობის“ მოციქულებად და ქურუმებად გამოდიან. ასე უღირთ და ასე იქცევიან.

მაგრამ . . . შევეხოთ პირდაპირ იმას, რაც მოლაპარაკების საგანს შეადგენდა. აქ ერთი რამ გაკვრით: ძნელი საფიქრებელია, რომ იდენი—ცივი ინგლისური თვალი, ყური და სმენა რუსეთს არ იცნობდა და არ იცნობს დღესაც და მართლა ახალი რამ დაინახა შიგ; მაგრამ ასე უღირთ და არც არაფერი აქვთ საწინააღმდეგო „საქონელი“ ამ პირით იქნეს დღეს შეზომილი და ნახმარი.

ჩვენთვის ეს ყველაფერი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სინამდვილეს ისე შევხედოთ, როგორც ის არის. ეს სინამდვილე კი ჩვენ წინ ისე არა დგას, როგორც ეს მოსკოვის სტუმართ ეჩვენება და, ალბათ, უღირსთ რომ ეჩვენოს. განსხვავების საფუძველი შეიძლება იმაში იყოს, რომ დღეს რუსეთი ჩვენთვის კონტრაგენტი არ არის. პირიქით, მას ხელში ვყავართ ულვთოდ და ის განაგებს ჩვენი ქვეყნით, ჩვენი ერით და ჩვენი ბედით. ამიტომაც ჩვენ უკეთ ვიცნობთ რუსეთს და ამის გამო არ გვჯერა მისი „მშვიდობიანობა“. პირიქით, რასაც იქ ვხედავთ, ყველაფერი ომისთვის მზადებას და მოწყობას გვიჩვენებს. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ჯარზე, ავიაციაზე, რომელთა რიცხვი და შეიარაღება ყოველ ქვეყნისა და შესაძლებლობისათვის მიღებულ ნორმას დიდი ხანია გადასცილდა; ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმ დამხმარე, პირველი შეხედულებით, სამხედრო საქმესთან არაფრის მქონე სამოქალაქო კავშირებზე, ნაწილებზე, დარაზმულობაზე, რომელთა გარეშე რუსეთში კაცი არ არსებობს და რომელნიც საბოლოოდ ჯარის შტაბს ემორჩილებიან და მის განკარგულების ქვეშა დგანან, — ასეთ თემურ-ლენგისებურ ყაიდაზე აწყობილ სამხედრო აღრიცხვაზე ყველა ჰასაკში მოსული ადამიანია—ქალი და კაცი. მთელი ცხოვრება იქ სამხედრო ლაშქარი და ლაშქრობა არის. თვით „კოლხოზები“ და „სოვხოზები“ —ეს თავისებური ნარევი წმინდა რუსული „ობშჩინისა“ და არაქჩეევის ცნობილი სამხედრო მოსახლეობისა—შულლის და კაცთა შორის ბოლმის მთესავ მარქსის სოციალიზმთან ერთად—დამხმარე სალაშქრო დაწესებულებანი არიან. იქ ყველაფერი აღწერილია: კაცი, ცხენი, საქონლის განავალი, ურემი, თესლი და მოსავალი კაცისა. იქ საკუთრება არ არის: აღმოფხვრილია სიყვარული შრომისა, გრძნობა ნაოფლარით დატკბობისა. „ნომადური“ ფსიქოზი სუფევს იქ და ელის დიდ ლაშქრობას, რომ მისცეს ცეცხლს დროებითი საზუდარი, რომ ომის ბედში ახალი, უკეთესი ეძიოს იქ შექმნილია ფსიქოზი ომისა და ამ ფსიქოზით ცხოვრობს მთელი ქვეყანა. ზოგი ელის მას, რადგან მის გარეშე არა აქვს არსებობა დ~ დანიშნულება, ზოგი ელის მას, როგორც ციურ მანანას და ხსნას უხილავი მტარვალობისაგან. ეს უკანასკნელნი—მილიონებია, ის მილიონები, რომელთა სისხლით და ხორცით, მოთმინებით და შრომით მონურ უღელ ქვეშ აშენდა მთელი თანამედროვე სამხედრო ბაბილონი—საბჭოთა რუსეთად წოდებული—მთელი თავისი სამხედრო ინდუსტრიით, სოფლის გაფაბრიკებით, მოძრავისა და მკვიდრის მილიტარიზაციით . . . გვჯერა, რომ იქ მოსკოვში არის დღეს ორიოდე მმართველი პიროვნება, რომელთაც ომი მართლა არ ჰსურთ. უკეთ: იმდენად უნდათ მათ ზავი, რამდენადაც ისინი გრძნობენ და ხედავენ საკუთარი ხელით შექმნილ და ანთებულ კოცონს. მაგრამ თეთრი სამშვიდობო ხელსახოცის ქნევა და სამშვიდობო „რეჩები“ ვერ დაშლის ამ უზარმაზარ სამხედრო მანქანას, ვერ გაფანტავს საერთო სამხედრო „ფსიქოზს“ და ვერ ჩაანელებს უკვე მოძრაობაში მოსულ ვულკანს . . .

ამისათვის სხვა რამ არის საჭირო. გარეთ კი არ არის საჭირო თეთრი ტილოს ქნევა და სამშვიდობო „რეჩები“, არამედ შინ, საცა ეს ომი სწარმოებს. რას აკეთებენ ომის გამოუცხადებლივ სისტემატიური, ვერაგი თავცემით და ომით დაპყრობილ საბჭოთა არარუს ქვეყნებში საოკუპანტო რუსული ჯარები, რა სახელითაც არ უნდა იყვნენ ისინი იქ! ომს განუწყვეტელს და ყოველდღიურს, ომს უხილავი სასტიკი და ვერაგი ფორმისას აწარმოებენ ისინი იქ. უთვალავია ყოველდღიურად მსხვერპლი კაცის და გავერანებული ქონებისა.

მშვიდობიანობა და ზავი არ ეგუება ამას, და უპირველესად ყოვლისა:

1. უნდა მოხსნილ იქმნას ეს საოკუპაციო ძალა. რუსეთის განიარაღება ამითი უნდა დაიწყოს. უნდა განთავისუფლდეს ტერიტორია გაცილებით დიდი ვიდრე მთელი ევროპა ურუსეთოდ ტერიტორია უმდიდრესი სამეურნეო რესურსების, მიწა-წყალი რუსეთისაგან დაპყრობილი ერებისა—იმ თავისუფლების, შრომის და მშვიდობიანობის მოყვარულ ერებისა, რომელთა საერთო რიცხვი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარია და რომელთა კულტურა და ტრადიცია გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე დამპყრობელთა.

2. ლიტვინოვის, დღეს უკვე ყველასაგან ცნობილი, დეკლარაცია „დამცემ და თავდამსხმელ ძალებზე“ უნდა განხორციელდეს და ძალაში შევიდეს უპირველესად ყოვლისა თვით საბჭოთა რუსეთში. ეს იმას ნიშნავს, რომ დამცემთა —ოკუპანტების—გაწვევის და მოხსნის გარდა უნდა მიეცეს საქვეყნო გარანტია ე. წ. ტერიტორიალურ ჯარებს, რომ მათი დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო მიწა-წყლის დაცვა არის და არავითარ რუსულ ავანტიურაში და წმინდა რუსულ მიზნით ნაწარმოებ ომში ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ. — მოსკოვს არავინ არ დასცემია; მოსკოვი დაეცა ბელორუსეთს, უკრაინას, თურქესტანს, კავკასიას, მონღოლეთს და სხვას. ეს ისტორიული ფაქტია მთელი თავისი ძალით და მნიშვნელობით. რუსეთის ოფიციალურ ცნობით ამ ტერიტორიალურ დივიზიათა რიცხვი 35-ს უდრის, — ძალა ყველასათვის ანგარიშ-გასაწევი, დადებითი — საკუთარი სამშობლოს დაცვაში — და სახიფათო — მოსკოველ იმპერიალისტთა ხელში.

3. დაუჯერებელია მოსკოვის მშვიდობიანობა, სანამ უმთავრესი იარაღი თანამედროვე ომის საწარმოებლად—ნავთი მის ხელშია. საერთო მსჯავრით დიდი ომი ნავთმა და ბენზინმა მოიგო. ლორდ კერზონის სიტყვით, „ნავთის ტალღებმა მოუტანეს ალიანცებს გამარჯვება“

თავადი გიორგი მაჩაბელი †

ნევ-იორკში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა გიორგი მაჩაბელი, კიდევ ჯანითა და ღონით სავსე, დაუშრეტელი ენერგიის პატრონი, ევროპიელი — განათლებით, კარგი ქართველი და საქართველოს კეთილდღეობის მონატრული და მისთვის მოამაგე ადამიანი.

გიორგი იყო თავადი ვასილი მაჩაბლის ცნობილი ოჯახის, ასე ულვთოდ დასჯილის ჩვენს ულვთო დროში, უფროსი შვილი. ვანო მაჩაბელი ბიძა იყო განსვენებულის, და ვისაც ორივე ენახა, სახით და ტემპერამენტით პირწავარდნილ მსგავსებას ხედავდენ მათში.

საშუალო სწავლა გიორგიმ და მისმა სამმა ძმამ (ნიკო, არჩილი, ილიკო) ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში დაასრულეს ტფილისში. იშვიათი ამხანაგი, ავისა და კარგის გამრჩევი, რაინდობით სავსე გიორგი საერთო საყვარელი იყო როგორც ამხანაგებში ისე მასწავლებლებში. იმ დროში ქართული გიმნაზია ერთი იმ მცირერიცხოვან დაწესებულებათაგანი იყო, საცა ქართული ტრადიცია და ქართული იმედი იყრიდა თავს. ქართველობა საზოგადოებაში და ქუჩაში „ჩვენებს“ გვეძახდა, მტერი ავის თვალით იაზუჩებდა ჩვენს თუშურ ნაბდის ქუდებს, სოციალისტობა ნიშნის მოგებით უთითებდა ჩვენზე, როგორც მომავალ „შოვინისტებზე“. გიორგი მალე ჩაება ამ ნაციონალურ „იმედიანობის“ შექმნაში. მეექვსე კლასიდან იგი ხელმძღვანელობდა პატარა წრეს და ორ კვირაში ერთს პარასკევს მათი იყო მორიგი „რეფერატი“. სამეურნეო და საერთაშორისო საკითხები იტაცებდა განსვენებულს. მახსოვს ერთ კრებას შემთხვევით ყველასაგან საყვარელი და პატივცემული მასწავლებელი — ვლადიმერ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე დაესწრო. ერთი თავისებურობა ჩვენი სკოლისა, ალბათ, იმაშიც იყო, რომ მოწაფენი უფრო მემარჯვენენი ვიყავით, ვიდრე მასწავლებლები. ვლადიმერ ლორთქიფანიძე სოციალიზმით გვანუგეშებდა. გიორგიმ მორიდებით მაგრამ გადაჭრით და სხარტად, როგორც ჩვეულება ჰქონდა, მოახსენა: „არა, ბატონო, ჩვენ სოციალიზმი კი არა, ომი გვიხსნის, დიდი სახელმწიფო უნდა შეებას რუსეთს რომ დაამარცხოს, აი თუნდ გერმანეთი!“ ეს 1904 წლის ამბავი გახლავთ.

ამ დიდ ომს გიორგი უკვე კურსდამთავრებული ახალგაზდა ინჟინერი, თუ არ ვცდები, ბელგიაში შეხვდა და უმალ გერმანიაში გადმოინაცვლა. გიორგის თაოსნობით დაარსდა საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი. ის იყო მის სულიც და მარჯვენაც. არის ხანა, როდესაც ადამიანი მთელის თავის არსებით სამშობლოსათვის გაიწირება. ასეთი იყო გიორგი ომის დროს. მის თავგანწირულ მუშაობას ვერაფერი აბრკოლებდა. მოაწყო რა აქ, გერმანიაში—კომიტეტი, გერმანული წყალქვეშა ნავით ჩამოვიდა საქართველოში, გვინახულა, გაგვამხნევა. იმ დღიდან მუდმივ კავშირში ვიყავით ჩვენ, იქ მყოფნი, — მასთან, აქ მყოფთან. საქართველოდან რომ ბრუნდებოდა (რუსეთ — იაპონია-ამერიკის გზით) კავკავამდის გავაცილე განსვენებული. რუსებს ალღო ჰქონდათ აღებული და კვალ-და-კვალ მისდევდენ. კავკავში, მოხუც ალბაგაჩის სახლში (როსტოვის ქუჩა, 13) შეხვედრა გვქონდა მაშინდელ გავლენიან მთიელებთან. კრებული უკვე დაშლილი იყო და ჩვენც მასპინძლის შვილთან-ისმაილთან ერთად გავუდექით გზას, რომ მოგვაწყიეს რუსებმა. მაშინ ვნახე ქართველი გმირი, დინჯი, მოხერხებული, ღირსეული, გულადი. ეს გიორგი იყო. სამმა გავარღვიეთ ალყა და ვისხლიტეთ რუსები.

მისი სტიქია — დიპლომატიური წარმომადგენლობა იყო. საამისოდ მას ყველა თვისებები ჰქონდა: მიმზიდავი გარეგნობა, აღზრდა და საქციელი, ჭკვიანი, დალაგებული, აწონილი და რწმენით სავსე სიტყვა-პასუხი. ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, და შემდეგ პირველ წლებში, ამ ასპარეზზე საქმიანობდა. მაგრამ, ნათქვამია: ჯორებში ბედაურიც კი ვერ ინავარდებსო . .

ემიგრანტობის მწარე ხვედრმაც სხვასავით ვერ მოსტეხა იგი. თავის უნარით და მოხერხებული საქმიანობით თავსაც ინახავდა და ბევრ ქართველს საქმესა და ლუკმას აძლევდა.

მომავალი ნაციონალური შეგნება უეჭველივ დაუბრუნდება სწორი შეფასებით განვლილ ეროვნულ გზას და იმ საქმიანობას, რომელსაც გიორგი ეწეოდა, პატივს და ღირსებას დასდებს. მისი სახელი დავიწყებას არ მიეცემა. ჩვენში კი, ვისაც მისი მეგობრობის და თანამშრომლობის ბედნიერება გვქონია, მისი დაკარგვა მწარე, განუკურნავ ტკივილს იწვევს.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, კარგო, ღირსეულო ქართველო! . . .

შალვა ქარუმიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ZUM 60. GEBURTSTAG!

ვლ. ახმეტელი

60 წლის შესრულების გამო

Dr. W. Achmeteli der erste georgische Gesandte in Deutschland

Im Jahre 1918 erfolgte die Unabhängigkeitserklärung Georgiens. Deutschland war die erste Großmacht, die den georgischen Staat (am 15. 9. 1918) anerkannte.

Dr. W. Achmeteli wurde in demselben Jahre nach Deutschland entsandt. Er vertrat Georgien bis zum Vertragsabschluß von Rapollo.



Berlin, im April

Den Besprechungen, die zwischen London und Moskau gepflogen wurden, mißt man eine große Bedeutung bei. Die maßgebende europäische Presse geht, soweit sie sich auf den Boden des Völkerbundes stellt, in der Wertung der Kreml-Aussprache so weit, diese als Symbol und Eckpfeiler einer neuen Aera zu bezeichnen. Wenn sie weitergeht, wird man sich nicht wundern können, wenn diese Presse jene 70 Millionen Nichtrussen, die in Sowjetgrenzen zu leben gezwungen sind, zu Vollrussen erklärt und schließlich das Brandmal des Nationalitätenstaates der Sowjet-Union mit dem Mantel der Nächstenliebe bedeckt. Der liebe Himmel hat uns nun auch noch solches bescheert . . .

Wir müssen nun darauf gefaßt sein, daß die erwähnten Kreise, ihre amtliche Politik sowie ihre Beziehungen zu Rußland auf längere Sicht auf die Grundlage solcher Anschauungen und Wertungen stellen werden . . .

Die guten Leute glauben offenbar, daß der Strom der Zeit die roten Hirngespinste und das marxistische Unternenschentum für immer in das Nichts entführt hat. Natürlich ist Moskau bestrebt, eine solche Meinung noch zu bestärken. Wir erleben das seltsame Schauspiel, daß die roten Revolutionäre, die eine halbe Welt in Blut erstickten, heute als Apostel und Propheten des „Friedens" auftreten dürfen. Nichts ist ihnen auch lieber.

Man kann kaum annehmen, daß Eden, als Engländer mit dem kalten Auge und dem kalten Ohr Albions, Rußland nicht kannte und auch heute noch nicht kennen will, oder daß er jetzt tatsächlich etwas Neues gesehen hätte. Da es die hohen Herren nun aber einmal so wollen, dürfte es geschehen, daß mit solcher Elle gemessen und mit solchem Lote gewogen wird.

Wir aber müssen die Dinge so sehen, wie sie sind. Die Wirklichkeit steht vor uns ganz anders, als sie den Gästen in Moskau erschien und als die Kremlgewaltigen — (vielleicht) — die Absicht hatten, sie zu offenbaren.

Allerdings müssen wir einen großen Unterschied herausstreichen: Rußland ist für uns heute kein vollwertiger Gegner. Im Gegenteil, es hält uns in grausamster Weise in seinen Klauen und schaltet und waltet nach Belieben mit unserer Erde, mit unserem Volk und unserem Schicksal. Daher dürfen wir sagen, daß wir Rußland besser kennen, und man glaube es uns, wenn wir sagen, daß wir seine „Friedfertigkeit" nicht für aufrichtig halten.

Ganz im Gegenteil! — Auf dem Boden der Sowjetunion erblicken wir nichts anderes als intensivste Vorbereitungen für den Krieg. Wir sprechen gar nicht einmal von der Armee und von der Luftflotte, deren Zahl und Bewaffnung schon seit langer Zeit alles übersteigt, was irgend ein Staat für sich als Norm beanspruchen könnte. Wir meinen auch nicht jene zivilen Hilfsorganisationen, Sonderabteilungen sowie jene Ausrüstungen, die mit der Armee selbst nichts zu tun haben: (In die jedoch in Rußland alles eingeschlossen ist, und die letzten Endes dem Militärstab untertan sind und ihm zur Verfügung stehen und in deren Organisationen jedes waffenfähige Lebewesen, Mann Weib und Kind, eingeschlossen ist.) Nein, wir sagen: das ganze Leben in Rotrußland gleicht dem Leben eines Kriegslagers während eines Feldzuges. Bilden doch selbst die „Kolchosen" und „Sowchosen" (jenes eigenartige Gemisch zwischen reinrussischen „Obschtschinas" (etwa Dorfgemeinschaften) und traditioneller Bevölkerung aus den Militärsiedlungen Araktschejews) — Lumen mit dem gesamten, Streit und Zwietracht säenden marxistischen Sozialismus militärische Hilfsorganisationen.

In diesen ist alles registriert: Mann, Roß und Wagen Sauen, Arbeitserrag; ja sogar der Mist vom Vieh. In diesem Rahmen gibt es kein Eigentum. Dort ist jede Liebe zur Arbeit, jedes Gefühl dafür, sich an dem zu freuen, was man im Schweiße seines Angesichts geschaffen hat, brutal vernichtet worden.

Dort herrscht der Geist des „Nomaden", der den Kriegszug herbeisehnt, der seinen Wohnsitz in Flammen aufgehen läßt, um sich auf Kosten des Gegners, den er plündert, einen neuen, besseren zu suchen. Dort herrscht der Geist des Krieges, und in diesem Geiste lebt das ganze Land. Manche warten auf den Krieg, weil sie meinen, daß im Frieden jedes Leben seinen Sinn verloren hat. Andere hingegen warten auf den Krieg wie auf ein Himmelsgeschenk, wie auf eine Errettung von ihren Bedrückern. Die, die solches hoffen, zählen nach Millionen. Es sind dies dieselben Millionen, mit deren Schweiß und Blut, mit deren Geduld und Kraft und sklavischer Arbeit das gesamte militärische Babel aufgebaut wurde, das sich Sowjetrußland nennt. Sowjetrußland mit seiner ganzen gewaltigen Kriegsindustrie, das das Land in Fabriken verwandelte und das alles mobilisiert: Menschen, Tier, ja selbst die Erde und alle verwertbaren Güter — Wir wollen gern glauben, daß es dort in Moskau einige, wenige, leitende Persönlichkeiten gibt, die den Krieg wirklich nicht wollen. Aber besser, die einen Waffenstillstand wünschen, weil sie das Flammenmeer erkennen, das sie mit eigenen Händen entfacht haben. Niemals aber kann ein Winken mit der weißen Friedensfahne, können „Friedensreden" diesen ungeheuren militärischen Apparat vergessen machen. Niemals können sie die allgemeine Kriegspsychose sich legen lassen und den in Bewegung geratenen Vulkan zum Erlöschen bringen . . .

Um das zuwege zu bringen ist anderes vonnöten. Nicht nach außen hin ist die weiße Flagge zu schwingen, sind die „Friedensreden" zu halten, sondern die Friedensaktion ist im Innern Rußlands nötig. Dort, wo der Krieg wütet. Was tun z. B. die russischen Besetzungstruppen in den nichtrussischen Ländern, ganz gleich, unter welchem Deckmamen man sie dorthin verpflanzte?! In den Ländern, die Sowjetrußland — planmäßig, entgegen dem Völkerrecht, heimtückisch überfallen und mit Krieg überzogen hat? Die Russen führen dort auch heute noch einen ununterbrochenen, blutigen und grausamen Krieg. Unzählig die Opfer an Gut und Blut, die dort Tag für Tag gebracht werden müssen! Wo ist da Friede und Waffenstillstand?!

Dazu ist anderes unumgänglich notwendig!

Dafür gibt es nur die restlose Erfüllung folgender Voraussetzungen:

Erstens: Die Abrüstung Rußlands hat damit zu beginnen, daß die Besetzungstruppen abgelöst werden. Daß ein Gebiet von der Größe ganz Europas, Rußland ausgenommen, ein Gebiet, überreich an wirtschaftlichen Quellen, das Gebiet der Völker, die Rußland geknechtet hat, jener Völker, die die Arbeit und den Frieden ebenso heiß lieben wie ihre Freiheit, Völker, deren Gesamtzahl die Hälfte aller Menschen umfaßt, die in der Sowjetunion leben, Nationen, deren Kultur und Ueberlieferung weit über denen der Eroberer stehen, befreit wird.

Zweitens: Es gilt, die Forderung Litwinows über die „Bestimmung des Angreifers", die heute jeder kennt, zu verwirklichen und vor allem in Sowjetrußland selbst in Kraft treten zu lassen. Das heißt, die Besetzungstruppen müssen nicht nur abgelöst werden, sondern den Territorialtruppen ist eine Weltgarantie zu geben, daß sie einzig und allein für den Schutz ihrer eigenen Heimat zu sorgen haben, daß sie in keine russischen Abenteuer verwickelt werden, und daß man sie aus jedem Kriege, der reinrussischen Interessen dient, heraushält.

Niemand hat Rußland überfallen! Moskau vielmehr war es, das Weißruthenien überfiel, die Ukraine vergewaltigte, die Kosaken, Turkestan, den Kaukasus, die Mongolei und zahllose weitere, zwischen Ostsee und Pazifik, ihrer Freiheit beraubte.

Das alles ist in das Buch der Geschichte eingemeißelt.

Die Moskauer behaupten in ihren amtlichen Schriften, die Zahl der erwähnten Territorialdivisionen betrage 35. Also eine Macht, der jeder Rechnung tragen muß, eine durchaus ernst zu nehmende Macht für die Verteidigung des Vaterlandes; aber, aber . . . eine höchst gefährliche Waffe in den Händen der Moskauer Imperialisten.

Drittens: Solange sich die Hauptwaffe für die Führung eines Krieges der Gegenwart, das Naphta, in russischem Besitz befindet, sind alle Moskauer Friedensbeteuerungen unglaubwürdig. Hat doch, wie alle Welt weiß, das Erdöl den letzten Krieg gewonnen. Hat doch Lord Curzon gesagt, die Alliierten wären von einer Erdölwelle zum Siege getragen worden, und kein anderer als General Ludendorff erklärt, Deutschland sei infolge Mangels an natürlichem Erdöl und an nicht vollwertigem Ersatz im Kriege unterlegen. Tatsächlich war es keinem großen Strategen oder Heerführer im letzten Völkerringen beschieden, ein Napoleon zu werden. Der Bonaparte des Weltkrieges ist, wie es hieß, der Erdölkönig Deterding gewesen. Und das rote Rußland hat sich dieses kostbaren Stoffes bemächtigt, durch feigen Ueberfall, mit brutaler Gewalt, und es hat selbst erklärt, daß es diesem Oel die Freiheit und das Schicksal der 13 Millionen Menschen, die den Kaukasus bewohnen, zum Opfer brachte. Mit diesem Erdöl hat es Sowjetrußland verstanden, sich zu erhalten, und damit erhält es sich auch heute noch in der Hauptsache. Mit dem Naphta des Kaukasus wirbelte Moskau den Weltmarkt durcheinander und mit diesem „Oel" hat es sich den Weg zu den Ländern Europas geglättet.

Auch war es in erster Linie das Naphtakraft dessen es offene und geheime Verträge, hauptsächlich mit verschiedenen Generalstäben, abschließen konnte, Verträge, um die herum sich gegenwärtig die allgemeine Aufrüstung vollzieht, die bereits den Krieg bedeutet. Für uns, die Völker des Kaukasus, hat das eine ungeheuere Bedeutung. Möge der Krieg ausbrechen, wo er wolle, immer wird die Naphta-Quelle der Punkt sein, um den sich alles dreht.

So ist das Erdöl gegenwärtig das einzige Mittel der Rüstungskontrolle. Ohne Oel ist der Motor tot und muß stille stehen. Die Schlagader eines Krieges der Gegenwart, ist der Tank, der ohne Erdöl nicht „tanken" kann, also kein Tank mehr ist. Ohne Oel vermag kein Flugzeug zu fliegen, können keine Truppen in der bei künftigen kriegerischen Verwicklungen so karg bemessenen Zeit den Standort wechseln. Daher muß die Verwendung des Erdöls für militärische Zwecke unter zwischenstaatliche Kontrolle gestellt werden, seine Ausbeutung zu wirtschaftlichen Zwecken hingegen muß in die Hände seiner rechtmäßigen Besitzer zurückgelegt werden. Es ist kaum zu glauben, daß während der Verhandlungen über die Abrüstung und die Friedenssicherung diese Frage nicht einmal gestreift worden ist.

Viertens: Man muß der friedlichen, wirtschaftlichen Arbeit das Joch der kriegerischen Zweckbestimmung mit all ihren Lasten abnehmen. Nur so vermag man die allgemeine Kriegspsychose zu bannen.

Solange diese Kriegsursache oder, besser gesagt, der Krieg selbst, nicht aus der Welt geschafft wird, solange kann man an eine „Friedfertigkeit" Moskaus nicht glauben. Es ist eitel, solange auf Frieden zu hoffen sowie an eine Rettung aus dem moralischen, politischen und wirtschaftlichen Chaos, aus dem Krieg der Gegenwart.

Schalwa Karumidze.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო წარსულიდან

1920 წლის ივნისში ტფილისს ჩამოვიდა დაღესტნიდან დელეგაცია პოლკოვნიკი კ. ალიხანოვის მეთაურობით და მომმართა მე თხოვნით, შუამავლობა გამეწია მისთვის ქართულ მთავრობასთან. ეს დელეგაცია ითხოვდა—საქართველოსა და დაღესტანს შორის განსაკუთრებული მჭიდრო პოლიტიკური კავშირის დამყარებას და ჩვენს დახმარებას მათი ქვეყნის ბოლშევიკებისაგან განსათავისუფლებლად. მე სიამოვნებით მოვკიდე ხელი ამ საქმეს და რამდენიმე დღეში უკვე მზად მქონდა სათანადო მოხსენება ქართული მთავრობისათვის. კ. ალიხანოვთან ერთად გავეშურე საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც ე. გეგეჭკორის არ ყოფნის გამო ჩვენ მიგვიღო მისმა მოადგილე ქარცივაძემ. მას იდეა ძალიან მოეწონა და გვთხოვა, რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მოვსულიყავით. მეორე შეხვედრაზე ქარცივაძემ განგვიცხადა, რომ საქმე გადაეცა დამფუძნებელი კრების საგანგებო კომისიას, რომელიც შესდგებოდა ჩხენკელის, საყვარელიძის და ს. მდივნისაგან. ამ კომისიასთან ერთად ჩვენ გვქონდა 3—4 სხდომა (ჩხენკელი ერთხელაც არ დასწრებია). დაბოლოს კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოსა და დაღესტანს შორის განსაკუთრებული მჭიდრო პოლიტიკური კავშირის დამყარების საქმე ნაადრევია, ხოლო რაც შეეხება იარაღით დახმარებას, ეს საკითხი გადაეცეს გენერალურ შტაბს განსახილველად. შტაბის უფროსი' გენ.-ზაქარიაძესთან ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შემდეგ გვითხრეს, რომ დაღესტანში აჯანყების დასაწყებად მოგვცემენ 1,5 მილიონ მანეთს, 5000 ვაზნას და . . . 20 შაშხანას. მე გამეცინა და გენ. ზაქარიაძეს მოვახსენე: „გენერალო! რას წარმოადგენს 1,5 მილიონი მანეთი, ხოლო 5000 ვაზნა პირველსავე ბრძოლაში რამდენიმე წუთში დაიხარჯება, და განა შეიძლება 20 შაშხანით აჯანყების დაწყება?!“ ამაზე მან მიპასუხა: „დაიწყეთ და, თუ დასაწყისი წარმატებით ჩატარდა, დახმარება გაგიგრძელდებათ“. მე ვუპასუხე, რომ დაღესტნელთა დელეგაციას ამ გარდაწყვეტილებას გადავცემ.

დელეგატები ჩემს ოთახში ისხდენ და მოუთმენლად ელოდენ ჩემს დაბრუნებას. როდესაც მე მათ მოვახსენე გენერ. შტაბის გარდაწყვეტილება, თავი ჩაქინდრეს და ნაღვლიანად და დიდხანს ისხდენ მდუმარედ.

დაბოლოს ლაპარაკი დაიწყო კ ალიხანოვმა: „აი რა გადავწყვიტეთ, ძვირფასო დიმიტრი! ჩვენ გთხოვთ, ჩადგეთ ჩვენი საქმის სათავეში, — გვიხელმძღვანელე, გვიბრძანე — ჩვენ დაგემორჩილებით . . . რაც შეეხება გენ. შტაბის გარდაწყვეტილებას—მიიღე, დავიწყოთ ამით და ბრძოლისას ჩავიგდებთ ვაზნებსაც და იარაღსაც. დელეგაციის ამ გარდაწყვეტილებამ მე გამაოცა და ვითხოვე, მოსაფიქრებლად მცირეოდენი დრო მოეცათ. მოკლედ რომ ვთქვათ, მე დავეთანხმე.

მივიღე თუარა ფული, ვაზნები და თოფები, შტაბის ადგილად ავირჩიე ძ ვ ე ლ ი გ ა ვ ა ზ ი; ეს უკანასკნელი სოფელია დაღესტნის მიმართულებით. იქვე მდებარეობს ლეკების სამი სოფელი: ტივი, ტივილ—დუსახი და ორდში. ძველგავაზში ჩასვლისთანავე განკარგულება გავეცი, დაუყონებლივ შეეკრათ სამი — დაღესტნიდან საქართველოზე მომავალი — გზა და არავინ შემოეშვათ ჩვენში, გარდა ნამდვილი დაღესტნელებისა. მცირე ხნის შემდეგ გავიგე რომ სამურსკი (დაღესტნელი, მაღალი მარკის კომუნისტი) ავარეთ-კახეთის გზის შეკეთებას შეუდგა ჩვენი საზღვრის ახლოს. ჩემ მიერ გაგზავნილმა დაზვერამ მაცნობა, რომ მუშაობა გზის შესაკეთებლად სწარმოებს სრული ტემპით. გავაგზავნე 10 კაცი ბრძანებით, მუშაობა შეეწყვიტათ, მაგრამ, საუბედუროდ, როცა ჩემი ხალხი იქ მივიდა, სამურსკი უკვე იქ არ იყო როგორც შემდეგ შევიტყვე, ის, ეგრძნო რა საშიშროება, გაქცეულიყო. ამის შემდეგ დავიწყე ხალხის გზავნა დაღესტნის სხვადასხვა კუთხეში, რათა იქ ადგილებზე რაზმები შეედგინათ. ამ სახით მოეწყო ექვსი რაზმი. გავუგზავნე მოწვევა დაღესტნის იმამს—ნაუდსმუდინ გოცინსკისაც, რომელიც მალე ჩამოვიდა ორდში. მასთან საუბარში მიღწეულ იქმნაშეთანხმება ყველა კითხვებში; გადავწყვიტეთ, რომ როგორც კი მოხდებოდა დაღესტნის განთავისუფლება, მაშინვე მოგვეწყო მფრინავი დამფუძნებელი კრება და დაღესტნის დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებია და მხოლოდ ამის შემდეგ გაგვეგზავნა ოფიციალური პირები ტფილისში-როგორც ქართულ მთავრობასთან ისე ევროპის წარმომადგენლებთან (როგორიც იყვნენ მისტერ სტოკსიდა სხვ.), რომლებთანაც მე ვიყავი პრინცი მ.-სთან ერთად და დაღესტნისათვის დახმარება ვთხოვე.

ნაუსმუდინთან შეთანხმებით და მისი არჩევით მე გავგზავნე სამი დაღესტნელი გუნიბში, დავალებით, ბოლშევიკებთან სამსახურში შესულიყვნენ და, თუ შეამჩნევდენ ან შეიტყობდენ წითელი არმიის ადგილ-მონაცვლებას ან რაიმე გადაჯგუფებას, დაუყონებლივ ჩემთვის ეცნობებიათ

ნაუსმუდინთან საუბრის შემდეგ მე მოხსენება გავუკეთე გენ. ზაქარიაძეს. მან გადმომცა, რომ თურქეთიდან ტფილისს ჩამოსულა შამილის შვილისშვილი, და მირჩია უკანასკნელს შევთანხმებოდი. ზ. შამილი მე მოვიწვიე რესტორანში „26 მაისი“.

ის იყო სულ ახალგაზრდა-20, თუ შეიძლება ცოტა მეტი, წლის; ჯერ კიდევ ნორჩი და გამოუცდელი პოლიტიკაში, რის გამო შეუძლებლად ვიცანი, მისთვის საქმის სრული ვითარება გამეზიარებია ამ შეხვედრის შთაბეჭდილებანი ვაუწყე გენ. ზაქარიაძეს და იმავე საღამოს გავემართე ძველ გავაზისაკენ.

ეს ყველაფერი მოხდა, დაახლოებით, აგვისტოს შუა რიცხვებში. ერთ მშვენიერ დღეს ჩემ მიერ გაგზავნილი დაღესტნელებიდან ერთერთი დაბრუნდა და გადმომცა, რომ ბოლშევიკებმა უბრძანეს გუნიბის, ხუნძახის და ბოტლიხის რაზმებს შეერთებულიყვნენ გიდატლინის ხიდთან. შემდეგ მეორისაგანაც მივიღე ცნობა, რომ გუნიბისა და ხუნძახის რაზმები უკვე შეერთდენ დანიშნულ ადგილზე და მოელიან ბოტლიხელებს. გავიდა რამდენიმე დღე იმის გამორკვევის მოლოდინში, თუ საით სურთ ბოლშევიკებს ეს ძალები წარმართონ. ბოლოს მივიღე უკანასკნელი ცნობაც, რომ ეს რაზმები საქართველოსკენ იგზავნება, მაგრამ მარტო ორი რაზმი, — ბოტლიხელები არ მოვიდენ.

საქართველოში ჩვენ აწ არაფერი გვქონდა გასაკეთებელი . . .

საქართველოდან 30 ვერსის მანძილზე ანცუხკონუჩის კლდეკარში დაიღუპა ეს გუნიბ-ხუნზახის რაზმი. ტყვედ ჩავიგდეთ მხოლოდ ორი მოწყალების-და, ერთი — პოლონელი, მეორე — ლატვიელი.

ეს ბრძოლა იყო სიგნალი მთელი დაღესტნისათვის. გაჩაღდა ბრძოლა ბოთლიხშიც, სადაც განადგურებულ იქმნა წითელ არმიელთა მთელი ბატალიონი. ანცუხ-კანუჩის ბრძოლის შემდეგ გაიხსნა დაღესტნიდან საქართველოში მიმავალი გზა მაშინვე გამოემართენ საქართველოსკენ ქარავნები ნაბდებითა და ლეკური შალით; ყველაფერი ეს იცვლებოდა ტფილისში მანუფაქტურაზე, საპონზე, ძაფზე, რაც დაღესტანში სულ არ იშოვებოდა; დაღესტანი მოწყვეტილი იყო საქართველოდან, ხოლო ბოლშევიკებს არაფრის მოცემა არ შეეძლოთ.

დამავიწყდა მომეხსენებია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: დაღესტანში წასვლამდის მე ვითხოვე, მოეცათ ჩემთვის ასაფეთქებელი მასალა და ერთი ამაში დახელოვნებული ჯარისკაცი. უკანასკნელზე უარი მითხრეს. მაშინ მე თვითონ შევისწავლე გზებისა და ხიდების აფეთქების საქმე. მაგრამ შემდეგ . . . . ასაფეთქებელი მასალა მაინც ვერ მივიღე. მინდოდა ამეფეთქებია სამურის ხიდი და ამნაირად მომეწყვიტა ჩრდილოეთი კავკასია აზერბეიჯანისაგან. მე ვგრძნობდი რომ ბოლშევიკებს ტყუილად არ დაუწყიათ ავარეთ-კახეთის გზის შეკეთება, და ამაზე წინ არა ერთხელ დამიწერია გაზეთებში („გრუზია“ და „ვოზროჟდენიე“), რომ ბოლშევიკები საქართველოს დაეცემიან. ეს არ იყო წინასწარმეტყველება, არამედ აშკარა ფაქტის აღნიშვნა, რომელსაც მხოლოდ ბრმა ვერ ხედავდა. საქართველო წარმოადგენდა ოაზისს, ყოველმხრივ ალყაშემორტყმულს ბოლშევიკებისაგან, რომელთა ხელში უკვე იმყოფებოდა ჩრდილოეთი კავკასია, აზერბეიჯანი და სომხეთი. მხოლოდ ჩვენი მთავრობა იყო ერთადერთი, რომელიც ცხვირს იქით ვერაფერს ამჩნევდა.

დაღესტნის ბრძოლების სრულ აღწერას სხვა დროისთვის გადავდებთ. ამაზე ბოლშევიკებმაც ბევრი სწერეს და ილუსტრაციასაც უკეთებდენ („კრასნოარმეეც“, Nr. 1), როგორც „სიკვდილის ხეობას“. და საერთოდ, სამხედრო მოქმედებათა ანალიზი არ შედის ჩემი წერილის ფარგლებში. ჩემი მიზანია მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ თუ სურვილი და ჭკუა გვექნებოდა, ჩინებულად შეიძლებოდა ჩვენი სამშობლოს დაცვის მოწყობა. სხვადასხვა მხრიდან გროვდებოდენ გუნიბსა და ხუნზახში წითელი არმიის ნაწილები, მაგრამ იძულებული იყვნენ, სიმაგრეებში ჩაკეტილიყვნენ ისინი იქ შერეკეს დაღესტნელებმა, რომელთაც უბრალო შაშხანებისა და ბერდანკების გარდა არაფერი გააჩნდათ. უნდა ითქვას, რომ წითელ არმიელებიც მამაცურად იბრძოდენ; თუმცა შემდეგ კარგად გავიგეთ მათი გულადობის მიზეზი: თურმე მათ ზურგს უკან ტყვიამფრქვევებს დგამდენ და უკან დახეულთ ხოცავდენ. გუნიბსა და ხუნზახს ალყა შემოვარტყით, მაგრამ მათი აღება უქვემეხებოდ შეუძლებელი იყო, ვინაიდან სიმაგრეები დაცული იყო ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით; გარდა ამისა, ბოლშევიკებს ყოველდღე მოსდიოდათ ახალ-ახალი დამხმარე ძალები, ჩნდებოდა ახალი ფრონტები, რომელთა რიცხვი მოკლე ხანში ექვსამდე ავიდა.

ტყვეებს ვგზავნიდი საიმედო ადგილზე ბოტლიხში. ტფილისში მე გავგზავნე 13 ოქმი ტყვე კომისრების დაკითხვისა, ხოლო გენერალურ შტაბს გადავეცი ტყვე მოწყალების-და, რომელსაც შეეძლო ფრიად მნიშვნელოვან ჩვენებათა მიცემა ბოლშევიკების გეგმებზე საქართველოს წინააღმდეგ.

ნუ დაივიწყებთ, რომ ყველაფერი ეს იყო 1920 წ. ოქტომბრის დამლევს! მაშინ მე ვწერდი აგრეთვე ყრილობის შესახებ XI წითელი არმიისა ქ. ბაქოში, სადაც დადგენილ იქმნა: „ბაქოს მფლობელმა არ შეიძლება არ დაიპყრო ბათომი“.

ფუჭი გამოდგა დახმარების მოლოდინიც. ჩემი მოხსენებები დაღესტანში აჯანყების მიმდინარეობის შესახებ ჩვენს მმართველებზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

ისინი ყოველთვის წვრილმან და დაუშვებელ პრინციპიდან გამოდიოდენ: „რაც ჩვენ არ გაგვიკეთებია — ჩვენი არაა, და მაშასადამე არაა საჭირო! . . .“

ამასთან, გამოგზავნილ იქმნა ტფილისიდან შიმილის შვილისშვილიც, რომელმაც გასდია რა ფეხდაფეხ ჩვენს ნატერფალს, გეგმებსა და მოქმედებაში არევ-დარევა შემოგვიტანა. ახალგაზდა შამილის ჩამოსვლამ შექმნა არასასიამოვნო ატმოსფერა მასსა და ალიხანოვს შორის, რაც, ცხადია, საქმეზე საზიანოდ მოქმედობდა. ამავე გარემოებამ ხელი შეუშალა ორ გავლენიან იმამის — გოცინსკისა და დარჟნაკსკის საბოლოო შერიგებას, თუმცა შეხვედრის დღე და მათი შეთანხმების პროექტი უკვე წინასწარ მომზადებული იყო.

შექმნილი არევ-დარევა გახდა წყარო ხალხში ბოროტი ხმების გავრცელებისა: „საქართველომ დაღესტანი მოატყუა, გამოუგზავნა მას თავისი მინისტრი (ეს „მინისტრი“ გახლდით მე, რომელსაც მენშევიკებმა დუშეთის მაზრის კომისრის თანამდებობაზედაც კი უარი უთხრეს!), რათა შემდეგ ჩვენ გაგვაქრისტიანონო“. როგორც კი გავიგე ეს ამბავი, მაშინვე მოვიწვიე დაღესტნელთა კრება, ავუხსენი მათ, ვისგან და რა მიზნით ვრცელდება მსგავსი ხმები, და იქვე მივეცი მათ წინადადება, ფული მოეგროვებინათ ერთი ახალი მეჩეთის ასაშენებლად და თვითონ მე, ჩემის მხრივ, ამისთვის შევსწირე 3000 მანეთი.

შტაბი გადავიტანე ხუნზახის ერთ პატარა სოფელში ზედ მთის ძირში, რომელიც მტრის სიმაგრიდან 700 მეტრით დაშორებული იყო. იქიდან სოფელს განუწყვეტლივ ზარბაზნებს უშენდენ, მაგრამ ამისგან არავითარი ზიანი არ იყო, რადგან ზარბაზნები ძველთა-ძველი იყო და წესიერად ნიშანში არ ისროდა. ამ სოფელში ჩამოვიდენ ელჩები საჩეჩნეთიდან და მთხოვეს წავსულიყავი მათთან აჯანყების მოსაწყობად. მე უარი ვუთხარი იარაღის და სახსრის უქონლობის გამო. „როცა ყველა ამას მივიღებ, მაშინ ჩამოვალ“ ვუპასუხე მე. ასედაც შევთანხმდით. მეტად მგრძნობიარე სცენა იყო, როდესაც ერთმა ჩეჩენმა უბიდან ხუთი ათასი მანეთი ქართული ფული ამოიღო და სთქვა: „ამას მე ვინახავ, როგორც წმიდათაწმიდას, — ეს ჩვენი ფულია!“ მე მეტად ამიჩვილდა გული. მაშინვე მივეცი თვითოეულს 500 მანეთი და თან ვიფიქრე: „ღმერთო ჩემო! რა კარგად შეიძლება ცოდნითა და მზრუნველი მოპყრობით საქართველოს პრესტიჟის აწევა და მრავალი ერთგული მეგობრისა და მოკავშირის ყოლა!!“

მაგრამ განა შეეძლოთ ჩვენს ბატონ მინისტრებს „ჩამოქვეითებულიყვნენ“ ჩეჩნებისა და დაღესტნელებამდის და მათში მეგობრები და მოკავშირეები ეძიათ? . . .

ხუნზახთან უნაყოფო ჯდომამ და განუწყვეტელმა ყოველდღიურმა შეტაკებებმა წითელი არმიის სულ ახალ-ახალ ნაწილებთან მე დამარწმუნეს იმაში, რომ ამ საქმის დასრულება შეუძლებელი იყო, თუ საქართველოდან დახმარება არ მოვიდოდა. მართალია ბრძოლაში ხელთ ვიგდებდით ზარბაზნებსაც და ტყვიამფრქვევებსაც, მაგრამ მათ მტერი ყოველთვის წინასწარ აფუჭებდა. დანებების დროსაც კი ბოლშევიკები თოფის საკეტებს შორს გადისროდენ ხოლმე.

რადგან საქართველოდან არავითარი ცნობები არ მქონდა, გადავწყვიტე თვითონ წამოვსულიყავი და 1920 წ, დეკემბერში ჩამოვედი ანცუხო-კაპუჩინში. დიდი თოვლის გამო მე მთელი კვირა დავკარგე, თუმცა საქართველო ასე ახლო იყო იქვე გავიგე, რომ ჩვენს საზღვრებზე ბოლშევიკებთან კარგი მდგომარეობა არ იყო. გადავწყვიტე გზას გავდგომოდი, მიუხედავად მოხუცთა გაფრთხილებისა. ანცუხო-კაპუჩინელებს ვუთხარი, რომ ხალხი მოემარაგებიათ გზის გასაწმენდათ იმ შემთხვევისათვის, თუ იარაღის გადმოტანა მოგვიხდებოდა, და რომ ახალგაზდობა მზად ჰყოლოდათ ზაქათალაზე თავ დასახმელად, როცა საჭირო მომენტი დადგებოდა. მე ვგრძნობდი, რომ დაღესტანში ვერ დავბრუნდებოდი, რადგან ვიცოდი, საქართველოსა და ბოლშევიკებს შორის ომი აუცილებლად დაიწყებოდა. ხოლო ამ შემთხვევისათვის მე უკვე წინასწარ გეგმა მქონდა გამომუშავებული, შევჭრილიყავი ზაქათალაში და ბოლშევიკების ძალას ზურგში მოვქცეოდი. — უღელტეხილზე ჩვენ ბევრი ცხენი დავკარგეთ, დარჩენილები კი უკან გავგზავნეთ და უღელტეხილი ფეხით გადავლახეთ. როცა ძველ-გავაზში ჩამოვედი, გავიგე, რომ ჩვენი საზღვრების ორივე მხარე ხიშტების ჯაგარმა მოიცვა. მე გავექანე ლაგოდეხს გენ. თავაძესთან და ვკითხე, ამაგრებენ თუ არა მის ფრონტს. მან ნაღვლიანად მიპასუხა: „გამაგრება რას ჰქვია, პირიქით ასუსტებენ, ახლა ტფილისში მივემგზავრებიო!“. მე ვეუბნები: „ლაგოდეხს მაგრა შემოუტევენ, ვინაიდან ბოლშევიკებს მოჭრა უნდათ, რათა ამით რკინისგზის ხაზზე გამოვიდენ და ტფილისს ზურგს უკან მოექცენ“.

წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, დაღესტანი რომ არ აჯანყებულიყო, ავარეთ-კახეთის გზა შეეკეთებიათ და ბოლშევიკები დაღესტნელ კომკავშირელებით უმოკლესი გზით, წინააღმდეგობის გარეშე შემოჭრილიყვნენ კახეთში ძველი გავაზის მხრიდანაც!!!

ტფილისში რომ ჩამოვედი პირველ რიგში გენ. ზაქარიაძე ვინახულე და ვკითხე: „კითხულობდით თქვენ ჩემს მოხსენებებს და დაკითხვათა ოქმებს?“ — „არა, მიპასუხა მან, ისინი ყველა თავდაცვის მინისტრს ნ. რამიშვილს აქვსო“. დიდის წვალების შემდეგ ნ. რამიშვილის ნახვაც მოვახერხე, და ჩემი მოხსენება დაღესტნის შესახებ მან მოისმინა თავიდან ბოლომდის როგორც რაღაც სრულიად ახალი ამბავი, როგორც რაღაც ნოველლა. ჩემს შეკითხვაზე, კითხულობდა თუ არა ის ჩემს მოხსენებებს და დაჭერილ ბოლშევიკების დაკითხვათა ოქმებს, მან უარყოფითად მიპასუხა.

ნუ დაივიწყებთ, რომ ამ დროს ბოლშევიკებთან შეტაკებები უკვე დაწყებული იყო!!! მე რამიშვილს მაშინვე ვუთხარი: „ეს შეტაკებები იმას ამბობენ, რომ მოსკოვი თავს გვესხმის.“

— არა, მიპასუხა მან, ეს ადგილობრივი ბოლშევიკების აჯანყებაა.

რა დამრჩენოდა მეტი გასაკეთებელი ამ ბრმებთან? . . . წავედი . . .

მოვლენები თანდათან იზრდებოდენ. ძველი გავაზიდან ერთი დაღესტნელისაგან (მის სახელს არ ვასახელებ, რადგან ის ცოცხალია და სამშობლოშია) მივიღე წერილი, რომ ჩემს განკარგულებაშია 700 ცხენოსანი. ამ წერილით მე ხელმეორედ ვეახლე ნ. რამიშვილს და ვსთხოვე მოეცა ჩემთვის 10 ოფიცერი ჩემი არჩევით, ქვემეხები და ფული. მოვახსენე და პირობა მივეცი, რომ ამ ძალებით ზაქათალაში შევიჭრები, დავანგრევ ბოლშევიკების ზურგს და ცეცხლებს-შუა მოვაქცევ საქართველოში შემოჭრილ მტერს.

წარმოიდგინეთ, რა სურათს მივიღებდით, რომ ჩემი თხოვნა აესრულებიათ!

ზაქათალაში მოისპობოდა ბოლშევიკების ყველაფერი, ვაზიანის ფრონტი გაჰქრებოდა და გენ. კვინიტაძე მიიღებდა ახალ მეომრებს ცხენებით და ხელში ხმლით!!

ნ რამიშვილს გავშორდი ისევ არაფრით . . . მაგრამ რამე მაინც ხომ უნდა გაგვეკეთებია სამშობლოსათვის? . . .

გავიგე, რომ მთავრობამ დ. ჭავჭავაძეს დაავალა ცხენოსანთა რაზმის შექმნა, მაშასადამე კავალერიის საჭიროება იყო!! მაშინვე გავეშურე დუშეთს და იქიდან გავუგზავნე დ. ჭავჭავაძეს დუშელი ვაჟკაცები.

ტფილისში ისმის განუწყვეტელი გრიალი ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევთა კაკანი.

მე შემატყობინეს, რომ ნ. რამიშვილი მეძებს. მივედი და მან წინადადება მომცა: წამეღო ერთი მილიონი მანეთი, წავსულიყავი დაღესტანში და იქიდან ზაქათალას დავცემოდი. მაგრამ ეს წინადადება მაშინ მივიღე, როდესაც ბოლშევიკები უკვე თელავში იდგენ და საერთოდ მთელი კახეთი ვაზიანამდის მტრის მიერ იყო დაკავებული. როცა მე ამ გარემოებაზე მივუთითე, ნ. რამიშვილმა მითხრა: „გაემგზავრეთ, გზა მონახეთ და შემატყობინეთ. მე თქვენ გამოგიგზავნით ყველაფერს, რაც საჭიროა, და თქვენ მიერ მოთხოვნილ 10 ოფიცერსაც.“

მაშინ კი ვიფიქრე: ჩვენი საქმეები ფრონტზე მთლად წამხდარი უნდა იყოს, რომ რამიშვილი ასე კეთილი და დამთმობია

შევირბინე სახლში, ცოლ-შვილთან გამოსათხოვებლად, გავიყოლიე ჩემი ერთგული ხევსური და წავედი სადგურზე. მინდოდა ავსულიყავი თიანეთს და იქიდან შემოვლით ჩავსულიყავი ორდში ანცუხ-კანუჩინელებთან. მატარებელს დიდხანს ვუცადე . . . და რა გამოვიდა? სადგურმა იწყო გავსება. ვეკითხები ყველას, რაშია საქმე? მიპასუხებენ: „ტფილისს ვტოვებთ, ჯარს უბრძანეს უკან დახევა. ყველა მინისტრები სხვადან აი იმ ოთახში“. მე გავშეშდი, და შემდეგ გავქანდი ნაჩვენებ ოთახისაკენ ვხედავ ჩვენს მინისტრებს ავადმყოფი და მკრთალი სახით. ვხედავ პირებს, რომელთაც თავის დროზე წარვუდგინე ზაქათალაზე დაკვრის გეგმა და რომელთაც მე იქ გამგზავნეს . . . ტფილისის დატოვების დღეს!! . . .

რა მოუვიდა მთელს ისტორიის მეგობრობისა და კავშირის მომზადებისა დაღესტანთან, რაც ასე არსებითი იყო ორივე ერისათვის?!!!

ეს არ არის განა ბოროტმოქმედება?! . . . .

როდესაც მითხრეს, რომ ნ. ჟორდანია დადის „ბუშლატში“ თოფით მხარზე (ხაშურში), მე ვუპასუხე: „სიმართლე ვთქვა, უკეთესი იქნებოდა, მას დაეხურა კარლ მარქსის წიგნი და რომელიმე წიგნი ქართველი მწერლისა გადაეშალა; ის შთააგონებდა მას, თუ როგორ უნდა მართვა და დაცვა სამშობლოს!“

დიმიტრი ჭიაბრიშვილი.

ნიკო მარრი

რუსეთში გარდაიცვალა სახელოვანი მეცნიერი, ჩვენი თანამემამულე აკადემიკოსი ნიკო მარრი. ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს განსვენებულის მეცნიერული მოღვაწეობა და დამსახურება აღვწეროთ. ეს მეტად დიდი და რთული თემაა და ის გაზეთის ფარგლებში ვერ მოთავსდება და მასთან ეს სპეციალისტების საქმეა. ჩვენ გვსურს მხოლოდ განსვენებულის ცხოვრება და მოღვაწეობა საერთოდ დავახასიათოთ.

ნიკო მარრი მამით ჰოლანდელი იყო და დედით ქართველი. დაიბადა გურიაში და იქ აღიზარდა. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც იწყება მისი მეცნიერული მუშაობა და მოღვაწეობა ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც მან გამოაქვეყნა პირველი თავისი მეცნიერული შრომა გაზ. „ივერიაში“ N. 86, 1888 წ. 2 აპრილი, შემდეგი სათაურით: „ბუნება და თვისება ქართულ ენისა“, სადაც პირველად გამოითქვა აზრი ქართული ენის ნათესაობისა სემიტურ ენებთან. (აქვე მოვაგონებთ მკითხველს სპარსეთის მგოსნის ფირდუსის ათასი წლის იუბილეს გამო, რომ ამავე გაზეთში „ივერია“ 1891 წ. N. 138 მოთავსებული იყო განსვენებულის შრომა: „ორიოდე სიტყვა შაჰნამეს ქართული თარგმანის შესახებ“)

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის დატოვებულ იქმნა აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზედ საპროფესოროდ. შემდეგში ის ამავე უნივერსიტეტის პროფესორია და 1912 წლიდან უკვე პეტერბურგის მეცნიერების აკადემიის წევრი. მას გამოქვეყნებული აქვს თავისი შრომები, რომელთა რიცხვი რამოდენიმე ასი იქნება უმთავრესად რუსულ ენაზედ და აგრეთვე ქართულ, სომხურ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზედ. გასულ წელს შესრულდა 45 წელი მისი მეცნიერულ მუშაობისა, რაც თფილისის უნივერსიტეტმა სპეციალური კრებულის გამოცემით აღნიშნა.

განსვენებული მარტო აკადემიურ—თეორიულ მუშაობას უნივერსიტეტის ფარგლებში არ ეწეოდა, არამედ ის მოგზაურობს, აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს და თვით კრებს ისტორიულ მასალებს თავის საგნისათვის. 1902 წ. მან იმოგზაურა სირია—პალესტინაში და შემდეგში გამოსცა ქართულ მონასტრებში იქ ნაპოვნი ქართული ხელთანაწერები თავისი კომენტარიებით (მასზედ ადრე იმოგზაურა პროფ. ალ. ცაგარელმა, რომელმაც ამ ხელთ-ნაწერთა შესახებ შრომა გამოსცა). საერთოდ დაუფასებელია ის სამსახური, რომელიც განსვენებულმა ქართულ მეცნიერებას გაუწია, ქართულ ისტორიულ—ლიტერატურულ მასალების დამუშავებით და გამოცემით. აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის მას „ვეფხის ტყაოსნის“ შესწავლის საქმეში ნიკო მარრის შემდეგ პოემის დილეტანტურ კვლევას ბოლო მოეღო და ამიერიდან ის მეცნიერულ მეთოდებით სწარმეობდა. მის შრომებიდან ამ საგანზედ, განსაკუთრებით აღსანიშნავია: „Witias w barsowoi schkure i nowaja kulturno-istoritscheskaia problema“ (1907); „Kult jenschtschini i rizarstwo“ (1910) „Wstupitelnia i saklutschitelnia strofi w Barsowoi Koje, Schoti is Rustawa“.

თუმცა მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი (მაგ: ის ამტკიცებდა რომ რუსთაველი იყო „ხუროთ-მოძღვარი, რომელმაც შესძლო ნათარგმნ სპარსულ ამბავისათვის ეროვნული სახეობა მიეცა“ და ვითომც ეს „სპარსული ამბავი“, რომელიც მგოსანმა ლექსად გარდათქვა, „ობოლი მარგალიტი“ უნდა ყოფილიყო და ბევრად მაღლა უნდა მდგარიყო რუსთველის ქმნილებაზედ“) არ გამართლდენ, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი შრომები პოემის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობისა იყვნენ.

მთავარი საგანი მისი მეცნიერული მუშაობისა იყო კავკასიური ენები. მან ეს ენები მის მიერ დაარსებულ „იაფეტიანთა“ ოჯახს მიაკუთვნა და აქედგან წარმოიშვა ეგრეთწოდებული „იაფეტური თეორია ენათა მცოდნეობისა“. ამ თეორიის ისტორია მოკლედ შემდეგია: ზემოდ მოხსენებულ გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ შრომაში გამოთქმულ აზრს ქართულ ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის შესახებ, ის 1908 წ. უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენების ფაკულტეტის გამოცემაში: „ძირითადი ცხრილები ძველ—ქართულ ენის გრამმატიკისა, წინასწარი ცნობით ქართულ ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის შესახებ“, უკვე ღრმა მეცნიერულ საბუთებით ამტკიცებდა. ეს შრომა იყო შედეგი ოცი წლის მუშაობისა, რომელსაც წინაუძღოდა ფილოლოგიური დამუშავება ქართულისა და „კულტურულ — ისტორიულად მასთან დაკავშირებულ—სომხურ ენისა“.

რადგან მარტო ქართული ენის შედარება სემიტურ ენებთან საკმარისი არ გამოდგა, ამისათვის საჭირო გახდა მის მონათესავე ენათა შესწავლა (მეგრულის, ჭანურისა და სვანურის) და ეს მეტ მასალას აძლევს თავის დებულებათა გასამართლებლად და რადგან ნათესაობა ქართულ და მის მონათესავე ენებისა სემიტურ ენებთან მას დამტკიცებულად მიაჩნდა და სემიტური კი ქამიტურ ენებს ენათესავებიან „სხვა გამოსავალი არ იყო, ამ ენათა ჯგუფისათვის, რომელიც კავკასიაში მოთავსებულა, გვეწოდებინა მესამე ძმის—იაფეტის სახელი“. შემდეგში ძველ ლურსმულ წარწერების შესწავლამ მეცნიერი დაარწმუნა, რომ ამავე იაფეტურ ენათა ოჯახს ეკუთვნიან - ქალდური, სუმერული და ძველი ელამური. თავის კვლევა—ძიებას ის აფართოებს და იაფეტურ ენებთან დაკავშირებით იკვლევს წინა აზიის, ხმელეთთაშუა ზღვის ქვეყნებისა, სამხრეთ ევროპისა და შემდეგში პამირის ხალხთა ენებს. შედეგებს ამ თავის კვლევა—ძიებისა ის აქვეყნებს ლაიპციგში გამოცემილ შრომაში. „Der Japhetische Kaukasus und das dritte etnische Element im Bildungsprozeß der mittelländischen Kultur“ და აქ იაფეტურ ენათა ციკლში შეაქვს: ბასკური—ისპანიიში, მკვდარი ეტრუსკული იტალიაში და ვერშიკული პამირზედ. ამ ხნიდან უკვე მისი აზრით იაფეტოლოგია გასცილდა კავკასიის საზღვრებს. შემდეგში ცოტა თუ ბევრად იაფეტური ელემენტების მატარებლად აღმოჩნდენ სხვა ძველი ენებიც ევროპისა, როგორც მაგალითად ბერძნული, ლათინური, ალბანური და ეგრეთვე გერმანული და რუსული. 1924 წლიდან იაფეტოლოგია გადაიქცა თეორიად, რომელმაც მიზნად დაისახა საერთოდ ენისა და სიტყვიერების წარმოშობის შესწავლა და აგრეთვე შედარებითი შესწავლა ყველა ჩვენ დრომდის მიღწეულ ძველ ენათა მათ წინა—ისტორიულ მდგომარეობაში ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრების წყობილებასთან დაკავშირებით. მერმედ გამოქვეყნებულ შრომებში „ხმელეთაშუა—ზღვის ინდო—ევროპიული ენები“ და სხვა, ამტკიცებდა რომ ინდო—ევროპიული ენები წარმოადგენენ ახალ ფორმაციას იაფეტურ ენებისას. „რადგან იაფეტოლოგია საერთოდ ენის წარმოშობისა და განვითარების შესწავლის მეტყველებად გადაიქცა, საჭირო გახდა ახალი მეთოდოლოგიური ფორმები კვლევა - ძიებისა მისი აზრით სიტყვის შექმნისათვის და საერთოდ ენის წარმოშობისათვის გარდამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ—ფიზიკურ მხარეს ცხოვრებისას და წარმოების იარაღთა და საერთოდ სოციალურ ცხოვრების განვითარებასთან იცვლება და ვითარდება თვით ენა. ენის განვითარების შესწავლა შეიძლება მხოლოდ თვით სოციალურ ცხოვრების ფორმების და ბუნების ახსნით და გაგებით. ამნაირად მან ენათა მეცნიერებაში შეიტანა ის თეორია, რომელსაც მატერიალისტური ეწოდება და მასთან დაკავშირებით ის აარსებს „მარქსისტულ მეთოდს“ ენათა კვლევა — ძიებაში. ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს: „იაფეტური ენები აკად. ნ. მარრის თეორიის სარბიელს შეადგენს. ეს ცნება თვითონ ნ. მარრისვე წყალობით მეტად ცვალებადი გამოდგა და „იაფეტიანთა ოჯახი“ იმდენად გაიზარდა და იზრდება, რომ ლამის არის მთელი დედამიწის მოსახლეობა დაიჩემოს ამისდა მიხედვით ცვალებადი გამოდგა თვით იაფეტიანთა ოჯახის ენის ნიშანდობლივი თვისებებიც“ . . . და რომ თვით ფონეტიკური მოსაზრებანიც „იაფეტოლოგიაში“ მეტად მერყევია, რადგან მათი „დამაჯერებლობის შერყევისათვის თვით ნ. მარრს არა ერთხელ შეუწყვია ხელი თავის წინანდელ კატეგორიულ დებულებათა შემდეგში ხშირად უარყოფითა და ახალი კატეგორიული დებულებისვე წამოყენებით“. არც ევროპის მეცნიერთა წრეში მოიპოვა საერთო გამართლება ნ. მარრის თეორიამ. მაგრამ თვით პრობლემის დაყენებით მან აიძულა ევროპის მეცნიერება ამ საკითხზედ ჯეროვანად ემუშავნა და თავის კვლევა—ძიების საგნად გაეხადა. ქართველი ერი და მისი ისტორიულ—კულტურული ცხოვრება ხომ ამ საკითხის მთავარი საგანი იყო და ამნაირად ის ევროპის მეცნიერების ინტერესთა ფარგლებში მოექცა. პარიზის, ბრუსსელის, ლაიპციგის, ბონის და ვენის უნივერსიტეტებში წარმოებული მუშაობა ქართველობის შესწავლისა, ხომ ნათლად ამტკიცებენ თუ რა გულმოდგინედ იკვლევს ევროპის მეცნიერება ამ საგანს. და უნდა ითქვას რომ მთავარი დამსახურება ამაში განსვენებულს მიუძღვის. მის მიერ პარიზში წაკითხული ლექციები ქართულ ენის შესახებ Graffin და Bryére-ის მიერ (მარრის მოწაფე) ცალკე წიგნად გამოიცა. ინგლისურ ენაზედ გამოსულ ალენის „საქართველოს ისტორიის“ გამოცემას განსვენებულმა მასალების მიწოდებით თუ რჩევით დიდად ხელი შეუწყო. საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებთან ვერ იყო კარგ განწყობილებაში. რატომღაც გამწყრალი იყო მათზე. თუმცა ჩვენი მეცნიერთა და მკლევართა მთელი რიგი (ა. შანიძე, ი. აბულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ს. კაკაბაძე, ი. მიქელაძე, ვ. ბერიძე, ფუტურიძე და სხვანი) მისი ყოფილი მოწაფეებია. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს რომ მის თეორიას ყოფილი მისი მოწაფეები არ იზიარებდენ. ერთმა ბოლშევიზანურ საზოგადოებამ ბერლინში („ახალ რუსეთის მეგობართა საზ-ბა“) გამოსცა რამოდენიმე ჟურნალი საბჭოთა რუსეთის შესახებ. ერთი ნომერი საქართველოს ჰქონდა მიძღვნილი მთლიანად. ამ ნომერში იყო ნ. მარრის შრომაც „ქართული ენა“. განსვენებული ვერც აქ ასცდა, რომ ქართველი მეცნიერები წყრომით არ მოეხსენებინა. ამ შრომის შესავალში ის ურჩევდა თავი დაენებებიათ ქართულ ენის კვლევისათვის, არამხოლოდ იმათ, ვისთვისაც ეს ენა უცხოა, არამედ ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია, „მაგრამ რომელთათვის მათი სოციალური მდგომარეობისა და შეგნების გამო საზოგადოებრივი ცხოვრება საბჭოთა კავშირისა და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ბუნებრივი აუცილებლობა ახალ მეთოდისა ენათა მეცნიერებაში უცხოა და არა სასიამოვნო“ და მწვავედ მოიხსენიებს „ნაციონალისტურად განწყობილ“ ქართველ მკვლევართ. მაგრამ მიუხედავად ამისა შრომა მეტად საინტერესოა და რაც მთავარია დიდ მეცნიერული მჭერმეტყველობით არის დახასიათებული ქართული ენის ძლიერება და ქართველი ერის ისტორიულ-კულტურული და ეროვნული სახე. 1923 წ. ჩვენ დავესწარით მის მოხსენებას ბერლინში: „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათ მეცნიერების მიხედვით“ (შემდეგში ის გამოქვეყნდა, „მნათობში“ N. 12 - 14) ეს ხომ მართლადაც ჰიმნი იყო ქართველ ერის კულტურისა! და გააოცებს ადამიანს რომ ამდენ სიყვარულთან ქართველ ერისადმი, ის ვერ ითმენდა თუ სხვები ქართველი ერის ენისა და კულტურის თავისებურებას იცავდენ და უცხოთა გავლენით კი არა, არამედ როგორც თვით ქართველ ერის სულიერ შემოქმედებას აღიარებდენ. ბოლო ხანებში ის სულიერად თავის სამშობლოს მეტად დასცილდა და მალე მთლად მოსწყდა იმ დროს როდესაც ცალი ფეხით სამარეში იდგა, ის შევიდა რუსეთის კომუნისტურ პარტიაში და ამით თავის სამშობლოს დაპყრობა მტრის მიერ გაამართლა. ამნაირად მან პოლიტიკურად და ეროვნულად თავისი ქვეყნის ისტორიულ-სახელმწიფოებრივი უფლებები უარჰყო, მაგრამ მას დაავიწყდა თავისივე ნათქვამი. შემთხვევით არ იყო, რომ ერთმა ქართველ მეცნიერმა თავის შრომაში ეს მისი ნათქვამი მოიგონა. თავის შრომაში „ქართველი ეროვნება“ 1905 წ. მარრი სწერდა: „საქართველოს ცხოვრება ხან-და-ხან რამდენისამე ათის წლობით და მეტითაც წარმოადგენდა სამწუხარო სურათს, რომელიც ნამდვილად გამოხატულია უცხოელ და შინაურ წყაროებში და რომელსაც ხან-და-ხან მთელი ქართველობა შეეძლო ჩაეგდო სრულს სასოწარკვეთილებაში, მაგრამ საქართველო ამისთანა შემთხვევაშიაც არ ჰკარგავდა იმედს, მაშინაც არ ღალატობდა უკეთეს ბრწყინვალე მომავლის რწმენას, მაშინაც არ ივიწყებდა თავის პატივს, როგორც კაცობრიობის წევრისას, როგორც ისტორიულად შექმნილის ნაციონალურ-კულტურულის ერთგულისას“. ეს სიტყვები მას დააწერინა ღრმა ცოდნამ ჩვენი ერის ისტორიისამ და იქიდან ამოკითხულ უკვდავებამ ქართულ ეროვნულ სულისა და ნებისყოფის! ვის არ ახსოვს მისი წიგნაკი დეკანოზ ვოსტორგოვის წინააღმდეგ. აქ უკვე მეცნიერი პოლიტიკური მებრძოლია და ქართველი ერის თავმოყვარეობას დამცველი. იარაღად უტყუარ ისტორიულ საბუთებს ხმარობს და მტერს სასტიკად და დაუზოგავად უტევს და საშინლად ამარცხებს. ეხლანდელი მტრები ხომ ათიათასჯერ საშინელები არიან ვინემ ვოსტორგოვი იყო?! მაშ რა მოხდა ნიკო მარრის სულში რომ მან ესენი იწამა? ეს საიდუმლოებით მოცულია და ეგებ მომავალში ვინმემ ახსნას! ის თუ სამშობლოსათვის დაიკარგა, მაგიერში მისი ერთად ერთი ვაჟი სამშობლოს დაუბრუნდა და უკვე რამოდენიმე წელია, რაც საქართველოს უნივერსიტეტში სამშობლოს მეცნიერების მსახურია. ეხლა როდესაც განსვენებული წარსდგა იმის წინაშე, ვინც განიკითხავს ამა ქვეყნისა საქმეთა ჩვენთ, არ გვმართებს მსაჯულნი ვიყვეთ მისი. სახელოვან მეცნიერს პატივისცემით მოიხსენიებს ყოველი ქართველი. და დღეს კი ვიტყვით: „განუტევე უფალო მას ცოდვანი მისნი“!

ნ.

დოქტ. კარლ ჰაინრიხ პეტერს †.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 68 წლის მოხუცი, ჩვენი გაზეთის ყოფილი პასუხისმგებელი რედაქტორი და თანამშრომელი, კარლ ჰაინრიხ პეტერსი.

განსვენებულმა მისი ცხოვრება უმთავრესად რუსეთსა და საქართველოში გაატარა. ხელობით ინჟინერი და ეკონომისტი, ამავე დროს შესანიშნავი პუბლიცისტი, ის გამჭრიახი თვალით აკვირდებოდა ძველი რუსეთის და მის მიერ დამონებულ ერთა ყოფა-ცხოვრებას. მაშინ შეისწავლა ზედმიწევნით რუსული ენა და საკმაოდ კარგად ქართულიც. გაეცნო ჩვენი ერის ისტორიას, კულტურას და მის თანამედროვე სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას.

საქართველოს ეროვნული ინტერესების შეგნება და პატივისცემა, ქართველი ერის წრფელი და მეგობრული სიყვარული, რომელსაც ასე ჭარბად ამჟღავნებდა განსვენებული ყველგან, იმ დროიდან იღებს სათავეს . . .

განსვენებულს განზრახული ჰქონდა ჩვენს ორგანოში გამოექვეყნებია მთელი რიგი წერილებისა საქართველოს ეკონომიური ვითარების (ბუნებრივი სიმდიდრენი, დღევანდელი სამეურნეო მდგომარეობა და სხვ) შესახებ. „კლდის“ N. 3 მოთავსებული იყო მისი პირველი და უკანასკნელი სტატია „საქართველოს შავი ქვა“. მეტი არ დასცალდა . . .

გარდაიცვალა საქართველოს ერთი კარგი მეგობარი. საუკუნო იყოს ხსენება მისი ! . . .

ქართველი.

გერმანიაში მცხოვრებ „თავისუფალ ყაზახთა“ პირველი საოლქო კრება.

25 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ჰანოვერში შესდგა პირველი საოლქო ყრილობა გერმანიაში მცხოვრებ ყაზახებისა, რომელნიც დამოუკიდებელი ყაზახთა სახელმწიფოს — კაზაკიას — დაარსების პლატფორმაზე დგანან. ყრილობა გახსნა სტანიცის ატამანმა ივანე ოვსიანიკმა მოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი სიტყვით: დაასურათა ყაზახთა ტრაგედია, მათი ბრძოლა და სამსახური სხვისთვის და უცხო ინტერესებისათვის აღნიშნა ყაზახების როლი დიდ მსოფლიო ომში, მოხალისეთა არმიაში — ყაზახებისთვის უცხო — დიდი, განუყოფელი რუსეთისათვის. — განსაკურებული სიცხადით გააშუქა ყაზახთა მდგომარეობა წითელი ოკუპანტების, ბოლშევიკების ხელში, რომელნიც ცდილობენ აღმოფხრან თვით ცნება—ყაზახი. — ამიტომ ბ. ოვსიანიკს ბუნებრივად მიაჩნია, რომ ახალმა მოძრაობამ—რომლის მიზანია — დამოუკიდებელი კაზაკიის შექმნა, დიდი რიცხვი მიმდევრებისა შემოიკრიბა. — ამ გზას მიჰყვებიან მრავალნი როგორც აქ, ისე სამშობლოში. მოძრაობა იზრდება, ფართოვდება. ყაზახები იბრძვიან რუსეთის წინააღმდეგ სხვა დამონებულ ერებთან ერთად. ესენი არიან უკრაინა, კავკასიის ერები, თურქესტანი და სხვ. —

ბ. ავსიანიკს აუცილებლად მიაჩნია გერმანიაში ყაზახთა ემიგრაციის ცენტრის შექმნა — საოლქო ატამანისა და გამგეობის არჩევით.

შემდეგ ბ. ოვსიანიკი ყრილობის სახელით ესალმება საპატიო სტუმრად მოწვეულს გერმანიაში მყოფ ქართველ ნაციონალისტთა წარმომადგენელს. —

ყრილობა ფეხზე ადგომით პატივს ცემს ახლად განსვენებულ გენერალ სტარიკოვის ხსოვნას.

პრეზიდიუმის არჩევნის წინ გალობენ დონისა და ყუბანის ყაზახთა ჰიმნებს. ყრილობის თავმჯდომარედ ირჩევენ ბ. ი. ავსიანიკს, მოადგილედ — ბ. ლოსოვს და მდივნად — ბ. კოპოტკოვს.

თავმჯდომარე კითხულობს ევროპის სხვადასხვა კუთხიდან მიღებულ მილოცვებს ყრილობისადმი — უმთავრესად პარიზიდან, პრაღიდან, ბულგარეთიდან და პოლონეთიდან.

დღის წესრიგის მიღების შემდეგ იწყება ყრილობის ყველაზე უფრო საზეიმო მომენტი — საოლქო ატამანის არჩევა გერმანიაში მყოფ ყაზახობისათვის. ყველა სიტყვებში ამ საკითხის გარშემო ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ძველი წმიდა ტრადიციის მიხედვით—ატამანს ევალება ყაზახთა ღირსებისა და სახელის ჯეროვანი დაცვა და ამიტომ არჩეული უნდა იქნეს ყველაზე ღირსეული პირი. ასეთად ერთხმად ირჩევენ ბ. ი. ოვსიანიკს. ყრილობა ფეხზე ადგომით და ოვაციებით პატივსცემს პირველ საოლქო ატამანს.

ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის წარმომადგენელი გადასცემს ახლად არჩეულ ატამანს ოვსიანიკს ყაზახთა დროშას.

ყრილობა ასევე გულწრფელად და ოვაციებით ხვდება ქართველ დელეგატს, რომელიც ულოცავს ატამანს ახლად მიღებულ პატივს და ესალმება ყრილობას.

ირჩევენ საოლქო გამგეობასაც: მდივანი — ბაბიჩი, მოლარე — პოლიაკოვი.

სრულდება ყრილობის პირველი დღიური სხდომა. ამით ჩვენ წრფელის გულით ვუსურვებთ ყაზახობას წარმატებას დამოუკიდებელი კაზაკიის შექმნის საქმეში. ყაზახთა კავშირი და მხარში ამოდგომა სხვა ეროვნულ ძალებთან, რომელნიც აგრეთვე ასეთივე იდეალებისათვის იბრძვიან—ჩვენი გამარჯვების თავდებია. —

დამსწრე

მენშევიკური ლიტერატორები.

აკაკის გარდაცვალებიდან ოცი წლის შესრულების გამო, ქართული პრესა უცხოეთში მგოსანის ხსოვნას სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნავდა.

მაგრამ მენშევიკებმა, ამ ეროვნულ გლოვის თარიღის აღნიშვნაშიაც, თავის ჩვეულებრივ გაიძვერაობას თავი ვერ დააღწიეს.

„დამოუკიდებელ საქ-ში" მიხ. წულუკიძის წერილი იყო მოთავსებული, მიძღვნილი მგოსანის ხსოვნას. ეგ მენშევიკური ლიტერატურული კრიტიკოსი „ლიტერატურულ ოლიმპის კრებულში" რუსთველს, ტოლსტოის შემდეგ იხსენიებს თვით რუსეთის მგოსანმა ბალმონტმა რუსთველს, პეტრარკის, დანტეს, შექსპირის, და გიოთეს გვერდით მიანიჭა ადგილი, და ტოლსტოი არც კი მოუხსენებია. ან მართლადაც რა ადგილი აქვს ტოლსტოის გენიოს-მგოსანთა გვერდით! (ნეტავ „რუსულ იდიოტიზმის" ავტორი დოსტოევსკი როგორ გამორჩა!) მ. წულუკიძეს ურჩევთ ევროპის ლიტერატურას თვალი ადევნოს, იმის გასაგებათ თუ როგორ უყურებს და აფასებს ამ მის ტოლსტოის ევროპიელი კრიტიკოსი, ამისათვის ზედმეტი არ იქნებოდა წაიკითხავდეს ერთ წიგნს: Sir Galahad: „Idiotenführer durch die russische Literatur." Verlag A. Langen. შეიძლება ეს წვრილმანი იყვეს, მაგრამ ისეთი წვრილმანი, რომელიც „პატრიოტულ ჰანგებზედ" დაწერილ წერილშიც მენშევიკურ „ეთიკას" ამჟღავნებს.

არავინ იფიქროს, რომ ამ წერილში გადაჭარბებული ქება-დიდება მგოსანისა გულწრფელი იყოს — აქ წინასწარ მოსაზრებული ტენდენციაა მენშევიკურ კრიტიკოსის: —ერთის ქებით მეორე დაამციროს.

ის სწერს რომ აკაკიმ „თავის ბუმბერაზ მხატვრულ პიროვნებით და შემოქმედებით მთელი მე-19 საუკ. ამოავსო და ქართველ ხალხის უდიდესი და უსიყვარულესი გულის მესაიდუმლე შეიქნა სიცოცხლეშივე-მისი უგვირგვინო მეფე". როგორც ხედავთ აქ ილიასათვის ადგილი აღარ დარჩა! იტყვიან შეხედულების საქმეაო! არა, შეხედულება კი არა-მენშევიკური სიბოროტეა! ტენდენცია ილია დაჩრდილონ! თორემ რომელი შეხედულებაა „აჩრდილის" და „განდეგილის" ავტორი არ მოიხსენიო! ან — ვინ გააშორა ერთმანეთს აკაკი და ილია!

თუ აკაკი ერის გრძნობების მესაიდუმლე და მფლობელი იყო, ერის ჭკუა -გონების ხომ ილია იყო! მე-19 საუკ. რომ ილია გამოაკლო განა იქ ცალიერი ადგილი არ დარჩება, ან და შეუძლია ის მხოლოდ აკაკის პიროვნებამ ამოავსოს?

ამ მენშევიკურ უვიც კრიტიკოსის ნაცოდვილარი რა ანგარიშ გასაწევია ან ვისზედ შეუძლია მან მოახდინოს გავლენა, მაგრამ ჩვენ ერთი რამ გვინდა აღვნიშნოთ: მას შემდეგ რაიც ერი კლასებათ დაჰყვეს, ერში ერმანეთისადმი სიძულვილი გაამეფეს, მით ეროვნული სხეული დაასუსტეს და ქვეყანა დაღუპეს, ამით აღარ კმაყოფილდებიან და ეხლა მოუწადინებიათ ქართველი ხალხი *თავის მგოსნებისადმი სიყვარულშიაც ორ ზანაკად გაჰყონ!* აი სად არის ბოროტება და უსინდისობა!

მათ მოსვენებას არ აძლევს რომ ილია საქართველოში მკვდრეთით აღსდგა. ამან მათ თავზარი დასცა და გაიცა ბრძანება შეუტიეთ ილიასო. ნ. ჟორდანიამ მას თავისი გოშიები მიუსია, კამპანია გახსნა ივ. ჭავჭანიძემ (ხონში „ვანიჩქა ჟუკად" წოდებული) თავის მოხსენებით ილიას წინააღმდეგ. ასეთი მეთოდები ნ. ჟ-იასი ძველადაც ცნობილია. ილიას მკვლელობის შემდეგ ნ. ჟ-იამ, მაშინ პ. გელეიშვილს დაავალა ილიას წინააღმდეგ მოხსენებების კითვა, ისე როგორც ეხლა ი. ჭავჭანიძეს. არავის აქვს დავიწყებული თუ რა აღშფოთება გამოიწვია მაშინ საზოგადოებაში ამ ზნედაცემულ ადამიანის უსინდისო მოხსენებებმა.

გავიდა დრო და იგივე პ. გელეიშვილი ეხლა იმავე ნ. ჟ-იას წინააღმდეგ აკეთებს მოხსენებებს და აქვეყნებს წერილებს. ასე გადაუხდის ხოლმე განგება ბოროტებას ადამიანს!

აი ეხლაც ისეთივე ცილისწამებითაა ილიას წინააღმდეგ ბრძოლა მაგრამ რა დარჩენიათ კიდევ ამ ბოროტებს, მას შემდეგ რაიც ილია ცხოვრებას გამოასალმეს?! სამართლიანად სწერდა სპ. კედია: „ტყვიას შეუძლებელსა სთხოვთ მან გააკეთა რაც შეეძლო: ხორციელი ილია მოჰკლა, ილიას იდეასა და სულს იგი ვერაფერს დააკლებს, მიცვალებული საფლავიდან გებრძვისთ და გამარცხებთ. ეს ილიაა მთელ საქართველოს რომ თქვენს წინააღმდეგ ამხედრებს და სულის სიმშვიდეს გიმღვრევთ".

თუ როგორი გაბოროტებით აწარმოებენ კამპანიას ეხლა, ამას უფრო ნათლად ადასტურებს „ბრძოლის ხმაში" (N. 51) მოთავსებული. წერილი ილიას გამო არც საქართველოში მყოფ მეცნიერულ მუშაკთ ინდობენ და მათ ბინძურ ცილს სწამებენ.

ამ წერილში („აკაკის რჩეული ნაწერები") ავტორი ამტკიცებს, რომ საქართველოში „არავის ისე უდიერათ არ მოპყრობიან, როგორც აკაკი წერეთელს. მის მიმართ არ არის დაცული გამოცემის არც ერთი ის მიღებული წესი რაიცა უნდა იყოს თვისება ყველა მიუდგომელ გამომცემლობის" და რომ ამ „რჩეულ ნაწერებში" — „ის რაც მოეწონა გამომცემელს —ეს თურმე „რჩეულია" საუკეთესოა, ხოლო რაც არ მოეწონათ -საარქივოა". შემდეგ განაგრძობს რომ „აკაკის აღარ დაუმსახურებია ჩვენი ნაციონალისტების ასეთი სიყვარული და პატივისცემა (ე. ი როგორც ილიას. ნ. ნ.) და მისთვის თავისებურათ ოპერაცია გაუკეთებიათ, ურჩევიათ, დაურჩევიათ. დიდი უმრავლესობა კი გოდორში გადაუყრიათ". ეგრე შეურაცყოფს ჩვენ მეცნიერულ მუშათ მენშევიკური ჭორიკანა! ყველას კარგად მოეხსენება, რომ აკაკის რჩეული ნაწერები გამოიცა ოთხ ტომად ს. გორგაძის და ს. აბაშელის რედაკტორობით. პირველის გამოცემა დაიწყო 1926 წ. და დასრულდა 1928 წ., ხოლო მეორე გამოცემა გამოვიდა სრულად 1930 წ. მაშ სად არის აქ მგოსნისადმი „უდიერი მოქცევა". პირდაპირ სასაცილოა გორგაძეს და აბაშელს მენშევიკი სიყვარულსა და პატივისცემას უწუნებდეს! ერთი დაასახელონ მაინცა თუ რომელი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია აკაკის „გოდორში გადაყრილი"?

გადაუთვალიერებია მაინც მას ეგ ოთხი ტომი აკაკის ნაწერებისა? მაგრამ.

აქ ისევე ის ტენდენცია არის, რომლის შესახებ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

აი რას სწერს ეგ ვაჟბატონი: „შეადარეთ მეორე პოეტის ნაწარმოების გამოცემას -ილია ჭავჭავაძისა. აქ რჩეული ნაწერების ალაგას ჩვენ გვაქვს სრული ნაწერები . . .

„აქ ტენდენცია აშკარაა, რამენაირათ ილია გამოიყენონ „მესამე დასის" წინააღმდეგ და ამით ის აქციონ იარაღათ *დღევანდელი რეაქციონერების*". (ხაზი ჩვენია. ნ. ნ.).

აქ უკვე ცხადი *დაბეზღებაა* ქართველ მეცნიერულ მუშაკების და მათ ჩეკას აძლევს ხელში. მათ აბრალებს ბრძოლას „მესამე დასის" წინააღმდეგ, რომელსაც ეკუთვნიან აგრეთვე ბოლშევიკები მახარაძე-ცხაკაია და ძმანი მისნი და უწოდებს მათ რეაქციონერებს.

მასთან პირდაპირ ასახელებს, როგორც ნაციონალისტური ტენდენციის მწერალს ვახ. კოტეტიშვილს. აი სანამდის მიდის მათი ბოროტება!

განა მათ არ ესმის თუ რას ნიშნავს საბჭოთა ქვეყანაში რეაქციონერობის და ნაციონალისტობის დაბრალება, მაგრამ არაფერს ერიდებიან, ოღონდ კი თავისი ბინძური მიზნები განახორციელონ!

ნუ თუ ამაზედაც არ ამოიღებს ხმას ქართული საზოგადოება და ასეთ აღმაშფოთებელ საქციელს არ დაგმობს?! ნუთუ ისე გაიხრწნა ქართველობა უცხოეთში რომ დახმარების ნაცვლად, საქართველოში მომუშავეთ ჩეკას ასმენს? არსებობს თუ არა ქართული საზოგადოებრივი აზროვნება უცხოეთში და თუ არსებობს ამაღლებს ის ხმას თუ არა? ჩვენ პასუხსვუცდით!

ნ. ექადიელი.

ნოე ჟორდანიას „ეროვნული პოლიტიკისათვის".

ეგრე წოდებული „საერთო ფრონტის" პოლიტიკური და ზნეობრივი სრული გაკოტრება სინამდვილედ იქცა. ჩვენ დიდიხანია რაც მას ბრძოლა გამოუცხადეთ, რადგან შეუძლებელი იყო იმ ხალხთან ერთ რიგებში დგომა, რომელთა მოღვაწეობამ ჩვენი სახელმწიფო დაღუპა. ჩვენ თავიდანვე ნათლად დავრწმუნდით, რომ ეს ხალხი ამ საშინელ ეროვნულ კატასტროფის შემდეგაც ვერ განთავისუფლებულიყო ძველ პარტიულ დოქტრინებიდან, რომელნიც ეგრე საბედისწერო გამოდგენ ჩვენი ქვეყნისათვის.

მიუღებელი იყო ეროვნული ბრძოლის წარმოება მარქსისტთა მეთაურობით, იმ დროს ,როდესაც ერი საშინელ ჩაგვრას განიცდის მარქსისტულ რეჟიმის უღელ ქვეშ. *ეროვნული ბრძოლა* შესაძლებელია მაშინ, თუ ხალხი უაღრესად ეროვნულ იდეებით არის გამსჭვალული, თუ მას მხოლოდ *ეროვნული ნებისყოფა* ჰფლობს, ასეთი რამ კი მარქსისტულ პარტიისათვის მიუღებელი რამ იყო და არის. მათთან კავშირი ნიშნავდა ეროვნულ ბრძოლს შენელებას! მას შემდეგ რაც მარქსისტულ პარტიამ-მენშევიკურმა საშინელ უფსკრულში გადაჩეხა ერი, და მარქსისტული პარტიის-ბოლშევიკურის-ტყვეობაში-ერი ლამის სისხლისაგან დაიცალოს, ამ დროს ისევ მარქსისტებთან ერთად ბრძოლა, სხვა რომ არა იყვეს რა, ხალხს *ვერც ენტუზიაზმს შეუქმნიდა და ვერც იმედს გაუღვიძებდა.*

დიდი დრო დასჭირდა, სანამ ამას შეიგნებდა ერთი ნაწილი ქართველობისა. დღეს კი ვისაც ოდნავად მაინც ეროვნული შეგნება შერჩენია. ჟორდანიას „საერთო ფრონტს" ჩამოსცილდა! ნ. ჟორდანია დარჩა თავისი „ბიურო" და კიდევ რამოდენიმე უსახო პიროვნებათა ამარა. არათუ „საერთო ფრონტი", პარტიაც-კი შემოადნა. ის რამოდენიმე ფრაქციებად დაიყო და მათ შორის გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს!

ნ. ჟორდანია სასოწარკვეთილებას მიცემული შეეცადა თავის „პოზიციები" რამენაირად შეინარჩუნოს. ამ მიზნით თავის წერილში „ნაციონალური ფრონტი" (ბრძოლის ხმა" N. 51) კიდევ ერთხელ ქართველობას გაერთიანებისაკენ მოუწოდებს. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ეგრე წოდებულ „ეროვნულ მთავრობის" თავმჯდომარე, ამ თავის მიმართვას ათავსებს არა „საერთო ფრონტის ორგანოში" „დამოუკიდ. საქ-ში", არამედ თავის პარტიულ ორგანოში, რომელსაც ამშვენებს წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"! მაშასადამე ისევ იმ ძველი გზით, მენშევიკურ-მარქსისტულით „ეროვნული ფრონტის" შექმნა. ყოველ ეროვნულ მებრძოლისათვის ცხადია, თუ რამდენად მიუღებელია ეს მისთვის, მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვართ შევჩერდეთ ამ წერილზედ და არსებითად განვიხილოთ ის, რომ ყველანი დავარწმუნოთ ნ. ჟორდანიას ძველებურ თვალთმაქცობაში და პოლიტიკურ სიყალბეში.

ამ წერილში ნ. ჟორდანიას მიზნად დაუსახავს თავის პოლიტიკის (თუ მას პოლიტიკა ეწოდება რასაც ნ. ჟ-ია მოღვაწეობს!) გამართლება და მისი სათანადო ისტორიულ „საბუთებითაც" დამტკიცება! თითქო სადმე ნიგოითში აკეთებდეს მოხსენებას; ისევ ის ძველი *ულაზათო დემაგოგია*, მხოლოდ მის მიმდევარ უვიცთა-უგუნურთათვის დასარწმუნებელი. თითქო ქართველობას დავიწყებული ჰქონდეს, თუ რა დაუწერია და უმოღვაწნია ნ. ჟ-იას! მართლადაც მხოლოდ ნ. ჟ-იას შეუძლია ეგრე საზოგადოების გაბიაბრუება! მაგრამ ამაოდ, ის დრო წავიდა და გაჰქრა, ოდესაც ასეთი ოინებით ნ. ჟ-იას ლელო გაჰქონდა!

ეხლა სხვა თაობასთან აქვს მას საქმე; ეს თაობა ეროვნულ ბრძოლაში აღზდილა და დავაჟკაცებულა, ამისათვის *ის შეუპოვარი და ულმობელია!*

სანამ არსებითად შეუდგებოდეთ ამ ზემოხსენებულ წერილის გარჩევას, ჩვენ გაკვრით შევეხებით ადგილებს ამ წერილისას. ნ ჟ-იას აწუხებს, რომ მიუხედავათ ემიგრაციაში საშინელ მატერიალურ გაჭირვებისა, არსებობს ათზე მეტი ბეჭვდითი გამოცემა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს მისთვის ხელ-საყრელი არარის, რადგან ამ ათიდან მისი პოზიციის მხოლოდ ორია თუ სამი. მას თითქო ემიგრაციის მძიმე მდგომარეობა აწუხებს, და მისი აზრით უკეთესი იქნებო და ეს ხარჯები მოხმარებოდა „ცხოვრების მძიმე უღელის მსუბუქად გატანას". ჩვენის აზრით კი ასეთი *მხვერპლი ემიგრაციისა*, ნათლად ამტკიცებს-თურ *ა ძლიერად სცემს პოლიტიკური მაჯა ქართველობისა უცხოეთში*, ან რა აწუხებს მათ სხვისი გაჭირვება?! ნ. ჟი-იას და მის ამალას არც ემიგრანტულ ცხოვრების სიმძიმე განუცდია, არც შიმშილი აქ ხომ *განცხრომაში არიან*, ქართულ-პოლიტიკის სპეკულაციით მიღებულ უცხო სუბსიდიებზედ და საქართველოდან გამოტანილ სახალხო ქონების ხარჯზედ.

ნ. ჟ-ის ქართულ ემიგრაციის დანაწილების მიზეზად, სხვათა შორის გეპეუს „გრძელი ხელების" მუშაობაც მიაჩნია. თუ სადმე გეპეუს გრძელი ხელები დაფათურობდნენ, ეს ისევ ნ. ჟ-იას ბიუროში, რომელიც მენაღარაშვილ-ჩუბინიძე-გამყრელიძის საშუალებით ეგრე მჭიდროდ იყო დაკავშირებული გეპეუს რეზიდენტებთან. და ნ. ჟ-ამ ეგ მუშაობა *პროვოკატორ გამყრელიძის* „დიდ ეროვნულ დამსახურებად აღიარა". ნ. ჟ-ის რომ თავაზიანობა ჰქონოდეს ამ საკითხს არ შეეხებოდა.

ეხება-რა პოლიტიკურ ემიგრაციის მუშაობას მას ურჩევს უკრაინელთა მაგალითს მიბაძოს, რომელთაც დაყოფილი აქვს სფერო მუშაობის: მემარჯვენეები ერთ ქვეყანაში მუშაობენ და მემარცხენეები კიდევ სხვაგან. მაგრამ თვით ნ ჟ-იამ და მისმა აგენტებმა არ დაუწყეს ბრძოლა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს სხვა ქვეყნებშიაც ყოვლად დაუშვებელ საშუალებებით? ნ. ჟ-ია და მისი აგენტები არაა, რომ ებრძვიან თანამემამულეთ უცხო პოლიციის დახმარებით? ვინ გადმოასახლებინა შ. ამირეჯიბი და დ. შალიკაშვილი პოლონეთიდან თუ არა ნ. ჟ-ის აგენტებმა? სხვა ქვეყნებშიაც ბევრია მაგალითები მათი ასეთი მუშაობისა, და აი ამას უწოდებს ნ. ჟ-ია „ეროვნულ მთავრობის" მუშაობას და უსაყვედურებს მემარჯვენეთ, რომ „ლამიან დაანგრიონ ის ფუძე, რაც დიდი შრომით და ვაივაგლახით ევროპაში მოვიპოვეთო". ჩვენ მისთვის დაგვილოცნია ეგ ზნედაცემულობისა და გათახსირების ფუძე!

ნ. ჟ-იას არც ის დავიწყნია ამ თავის წერილში ემიგრაციას თავი შეაბრალოს. „ახლა მეორე თავმჯდომარე ამოიჩემეს და მას საჯაროდ გაზეთის ფურცლებზე მუქარას უთვლიანო" განა ის რომ ნაციონალისტები ნ. ჟ-იას პოლიტიკურ ბრძოლის უზნეო მეთოდებს ამხელენ ეს „მუქარის" შეთვლაა? რას „ემუქრებიან" ნაციონალისტები? მათი „მუქარა" ის არის. რომ ნ. ჟ-იას ურჩევენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ცილის წამებას თავი დაანებოს და თუ ის მთავრობის თავმჯდომარეა, ეროვნული ინტერესები დაიცვას და არა პარტიული. მეტი რა უთქვამთ? თითონ კი ვის დაუმსახურა ან პატივის ცემა, ან ლოიალობა? იქნებ ოდესმე ნაციონალისტები აუჯანყდენ მას? ნ. ჟ-ია და მისი ამხანაგები არ იყვნენ რომ ილიას კაცის მოკვლას აბრალებდნენ? ეს ის ხალხია რომ სხვას უძრახავს „დუხჭირი პოლიტიკა კრიმინალს ენათესავებაო". იმაზედ დიდი კრიმინალური პოლიტიკა რა იქნებოდა, რომელსაც ისინი ილიას მიმართ აწარმოებდნენ და რომელიც დიდი ქართველის მკვლელობით დამთავრდა! ჩვენგან კი რესპექტს მოითხოვს! მაგრამ კმარა, გვეყო რაც გადაგვხდა ჟ-იას წყალობით.

ეხლა ჩვენ გადავალთ წერილის მთავარ საგანზედ. ნ. ჟ-ია ამ წერილში სცდილობს დაამტკიცოს რომ ის თავიდანვე ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა და ეხლაც როგორც „მთავრობის თავმჯდომარე" ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ მას თურმე ნაციონალისტები ხელს უშლიან. ის ბრძანებს: „არის ორი კონცეპცია: ჯერ ნაცია, შემდეგ რეჟიმი: ჯერ რეჟიმი, შემდეგ ნაცია; ჩვენია პირველი, მეორეა მემარჯვენეთა ჯგუფების. ე. ი ჩვენ ვიზიარებთ ერის თვით გამორკვევას უპირობოდ, ისინი კი მას უყენებენ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებს". ამნაირად *მარქსისტი ნ. ჟ-ია თურმე სდგას ზეკლასიურ ნიადაგზედ, აღიარებს ნაციის პრიმატობას*, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყოველივე და *მემარჯვენეები-კი* რომელნიც მუდამ ებრძოდენ მარქსიზმს, მის კლასთა ბრძოლის თეორიას და მის ეროვნულ ნიჰილიზმს დღეს თურმე *კლასიურ ნიადაგზე დამდგარან და ეროვნულ ინტერესებს სოციალურ-პოლიტიკურსა ანაცვალებენ!* თუ ეს სიტყვები თამაში არარის, მაშინ მეტად უცნაური პარადოქსი უნდა იყვეს. ნუთუ მართლა ნ. ჟ-იას ქართული საზოგადოება ეგრე უვიცად აქვს წარმოდგენილი, რომ ის მას ასეთ რაიმეს დაუჯერებს? ნუთუ მართლა სრულიად დაჰკარგა ნ. ჟ-იამ სირცხვილის გრძნობა? თუ სიბერის ორგანიულ არტერიოს-სკლეროზს გონების არტერიო-სკლეროზიც თან—დაერთო?

ჩვენ ფაქტებით დავამტკიცებთ როგორ შეგნებულად სჩადის ნ. ჟ-ია სიყალბეს ნ. ჟ-ია ამბობს რომ მათი პარტიის მიერ ნაციონალური მომენტის „პირველ-რიგებში გადატანა" არ იყო შემთხვევითი, არამედ „ის იყო ჩვენი აზრი მუდამ, თავიდანვე, ქართველ სოციალდემოკრატების გაჩენის დღიდან. აი რას ვსწერდით პირველ საპროგრამო წერილში ამ ორმოცი წლის წინედ ამ საგანზედ: ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სარჩული ეკონომიური წანმარტებაა, რამაც დაბადა ეროვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება. საქართველო ერთი განუყოფელი, საქართველო ორი სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი. თუ პირველ კითხვაზედ ვერთდებით, მეორეზედ ვიყოფით, თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღდეგ ერთად ვდგებით. ეს არის არსებითი თვისება უმაღლესი განვითარებისა"...

ასე რომ სწერდა ნ. ჟ-ია სიმართლეა, მაგრამ იმას კიარ ამბობს თუ როგორ ესმოდა მას ეს „*გარეშე მტერი*", და როგორ უარყო მან გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად დგომა. ეს მისი გარეშე მტერი იყო *არა რუსეთი* როგორც ასეთი დამპყრობელი საქართველოსი, არამედ ის გარეშე მტერი იყო რუსეთის *პოლიტიკური სისტემა*. ნ. ჟ-ია ებრძოდა რუსეთს *არა ეროვნულად*, არამედ *პოლი-ტიკურად*. ის ებრძოდა არა რუ*სეთს სახელმწიფოს*, არამედ რუსეთის Polizeistaat-ს მაშასადამე ეს ბრძოლა არ იყო ეროვნულ თავისუფლებისათვის, საქართველოს სახელმწიფოს აღსადგენად. რომ ეს აგრე იყო ამას ამტკიცებენ შემდეგი მისი ნაწერები.

1908 წ. ნ. ჟ-ია სწერდა, რომ რუსეთის შემოსვლისთანავე ქართველმა ხალხმა უარყო ნაციონალური დროშა და ინტერნაციონალური ააფრიალაო. ეს ჩვეულებრივი სიყალბე იყო ნ. ჟ-იას მხრივ. არცერთს მიმართულებას და მიმდინარეობას არც პიროვნებას არ უარყვია ეროვნული იდეა, სანამ არ დაარსდა მარქსისტული პარტია ჟორდანია-მახარაძის მეთაურობით, რომლებმაც პირველად ააფრიალეს *ინტერნაციონალური დროშა* და მას კიდევაც საქართველო ამსხვერპლეს.

იმავე წელს ნ. ჟ-ია სწერდა: „მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი შეუჩერებელი წინ-მსვლელობისა და კულტურულ ამაღლების. *და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით, ამით აიხსნება ანტი-რუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში*". (ხაზი ჩვენიან. ნ.) ამ რიგად აქედგან აშკარად მტკიცდება ის აზრი, რომ ნ. ჟ-იასათვის გარეშე იტერი არა რუსეთი იყო, არამედ მისი პოლიტიკური სისტემა და ეს მისი ბრძოლა იყო არა *ქართული-ეროვნული*, არამედ *მარქსისტულ-პარტიული*.

იმ თავის ციტატაში ნ. ჟ-ია ამბობს რომ „გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად ვდგებითო". სინამდვილეში-კი ჟორდანიამ უარჰყო სხვებთან ერთობით თანამშრომლობა ეროვნულ ნიადაგზედ და გაერთიანებული ძალებით გარეშე მტრის წინა—ღმდეგ ბრძოლა. თავის „დემოკრატია და სოციალდემოკრატიაში" 1905 წ ის სწერდა: „არც ერთი პარტია არარის მუშათა პარტიის ისეთი მტერი, როგორც *დემოკრატია*. ის დაუცხრომლად ებრძვის სოციალდემოკრატიას, ეს პარტია მიაჩნია მას თავის უმთავრეს მტერად და უგებს სხვადასხვა მახეს მის დასაჭერად და თავის წვრილ-ბურჟუაზიულ „ჯოგში" გასათქვეფად ამ მიზნის მისაღწევად ის ქადაგებს ერთობას, სხვა პარტიებთან შეკავშირებას („ბლოკი"). სოციალ-დემოკრატიის მეტოქე და დაუძინებელი მტერი დემოკრატიული პარტიებია და მათი დანგრევა მისი განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ პარტიების სახელებია: სოციალისტ-რევოლიუციონერი, დემოკრატ-პრო-

გრესისტი, ავტონომისტ-ფედერალისტები (ნაციონალისტები) და ძმანი მათნი“.

მაშასადამე აქედან ცხადათ სჩანს რომ ნ. ჟ-იამ არა-თუ საერთოდ დემოკრატია უარჰყო და მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესები აღიარა და მით წმინდა კლასიურ ნიადაგზე დადგა, არამედ აგრეთვე უარჰყო სხვა მიმართულებებთან ერთად გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაც. ნ. ჟ-ნიაც არ უარყოფს ამას. 1910 წ-ს თავის რჩეულ ნაწერების წინასიტყვაობაში ამბობდა: „ქართველი მარქსისტები თავიდანვე ეწეოდნენ სამ-გვარ ბრძოლას: ბრძოლა კულტურისათვის ბრძოლა დემოკრატიისათვის, ბრძოლა სოციალ-დემოკრატიისათვის“.

ჩვენ ზემოდ დავინახეთ რომ ჟორდანიამ დემოკრატია სოციალდემოკრატიის შეურიგებელ მტერად გამოაცხადა. აქ კი ამტკიცებს რომ დემოკრატიისათვის ვიბრძოდითო. მაგრამ ტყუილი ხომ ჟორდანიას ჩვეულებრივი ავადმყოფობაა. ყოველ შემთხვევაში ერისა და მისი უფლებათათვის ბრძოლას მის პროგრამაში ადგილი არ ჰქონია. ეხლა-კი ნ. ჟ-ია აცხადებს: ეროვნული მომენტი პარტიის პირველ რიგებში იდგა, „ის იყო ჩვენი აზრი მუდამ, თავიდანვე ქართველ სოციალ-დემოკრატიის გაჩენის დღიდანო“. ასე ღალადებენ ნ. ჟ-იას ბაგენი „თვით ჭეშმარიტებას“.

ნ. ჟ-ია სწერს თავის წერილში, რომ ილია ჭავჭავაძის „მთელმა პოლიტიკამ ქართული შკოლაც -კი ვერ მოგვცა, ქართული სწავლა დედა-ენას და ბუნების-კარს ვერ გადააშორაო“. აი სანამდი მიდის მისი ცინიზმი! ილიამ რუსებს ის ჟ-იას ქებული „კულტურული ამაღლება“ შემდეგნაირად გადაუკურთხა:

> მას აქეთ რაც კურთხევა ღვთისა
> მიეცა ტანჯულ ივერიის ერს,
> რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, —
> ღმერთმა იმ რუსვე ას-კეცად მისცეს.

თუ ქართული შკოლა არა, მაშ რა იყო ის ილიამ რომ მთელი გეზი მისცა ერს ეროვნულ მოქმედებისათვის და გზა დაუსახა. მისი იდეები ეროვნულ ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, სანამ ხალხს მარქსისტულ პარტიის სახით საშინელი მახინჯი მტერი არ გაუჩნდა. ილიას მინიმუმი-მაქსიმუმი პროგრამა არ დაუწერია. მაგრამ ყოველი მისი სიტყვა ქართულ ეროვნულ სულის მხილებაა. მან ერს მარტივად მისცა პაროლები მოქმედებისათვის: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს“, „დაცემულ ვინაობის აღდგენა“, და „ჩატეხილი ხიდის აგება“! ეს თუ გნებავთ იყო მთელი ეროვნული და სოციალური პროგრამა, რომელსაც ქართველი ხალხი უნდა აემოძრავებია თუ-კი მას ეროვნული არსებობის შენარჩუნება სურდა.

„და ქართველობა სასიქადულოდ როდის ექნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა“,
გოდებდა ილია და დასძენდა:
„წმინდაა იგი ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება“.
რომ ეს ასთე მოხდა. ამის მოწმენი ჩვენც გავხდით

1894 წ-ს ჟურნალი „მოამბე“ სწერდა: „ყოველ საგანს და ყოველ მოვლენას, რომელიც შეეხება ქართულ საზოგადოებას ჩვენ გავსჯით და დავაფასებთ ქართველი საზოგადოების კეთილ-დღეობის და სარგებლობის მიხედვით; ეს სარგებლობა იქნება ჩვენი თვალთა ხედვის ისარი“. ამაზედ ნ. ჟ-ია დაცინვით შენიშნავდა: „ამის თქმაც საჭირო ყოფილა ქართული ჟურნალი ქართულ ინტერესებს იცავს, არ გიკვირთ? ერთი მიბრძანეთ რომელი ერის მწერლობა იქადის: ჩვენ ჩვენს სამშობლოს ვემსახურებითო“. ნ. ჟ-ია ვერ მიმხვდარიყო რომ ყოველთვის არ ემსახურება ქართულ ინტერესებს რაიც ქართულად იწერება. ისე როგორც უცხოა ქართველ ხალხისათვის ქართულად გამოცემული მარქსი-ლენინი, ისე უცხო და არა ქართული იყო ქართულად ნაწერი ჟორდანია-მახარაძესი.

ჩვენ ზემოდ დავრწმუნდით, თუ როგორ არ ემსახურებოდა ჟორდანიას ნაწერები სამშობლოს ინტერესებს და ქვემოთ დავინახავთ, რომ როდესაც ჟორდანიას სიტყვები საქმედ იქცენ ქართველი ხალხი უფსკრულში გადაჩეხა
თავის ერთგულობაში რუსეთისადმი ნ. ჟორდანია მუდამ კონსექვენტური იყო. მას ქართველი ერის სახელმწიფოებრიობა არას-დროს არ სწამდა. დიდი ომის დროს როდესაც ეროვნული პრობლემა მთელ მსოფლიოში აქტუალური გახდა და ყველა დაჩაგრულ ერებს გაუღვიძა იმედი ეროვნული თავისუფლებისა, ჩვენშიაც დაეტყო ამ მხრივ პოლიტიკურ ცხოვრებას ამოძრავება, მაგრამ ნ. ჟ-ია ისევ თავის ძველ პოზიციებზე იდგა. ჩეხიის და პოლონეთის სოციალისტები ყველა ქვეყნებში დიდის ენერგიით აწარმოებდნენ ეროვნულ მუშაობას, მაგრამ ჟორდანია რუსეთის ერთგული იყო. თავის წერილებში „ომი და ზავი“ მან მთლიანად გაიზიარა პლეხანოვის პოლიტიკა, მიემხრო რუსულ ნაციონალისტურ შეხედულებას და რუსეთის გამარჯვების მომხრე იყო. (უნდა აღვნიშნოთ რომ განსვენებული კ. ჩხეიძე ამ შეხედულებას ჟორდანიასი არ იზიარებდა) ამ რიგად ნ. ჟ-იამ სრულიად უარჰყო საქართველოს ეროვნული უფლებები.

მოხდა რევოლიუცია. ჟორდანია ისევ ერთგულია რუსეთის დემოკრატიის. ექვსი თვის წინ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, 20 ნოემბერს 1917 წ-ს, ეროვნულ ყრილობაზედ ის აცხადებს: „ცხადია რომ ჩვენ იმავე ნიადაგზედ ვრჩებით რომელზედაც წინად ვიდექით სახელდობრ რუსეთთან ერთიანობის ნიადაგზე“! . . .
და ამ სიტყვას შემდეგნაირად ათავებს: „ამ გვარად ჩვენი ორიენტაცია რჩება წინანდელი და ჩვენ განვაგრძობთ დგომას რუსეთთან მთლიანობის ნიადაგზე“. ნ. ჟ-ა აქ აშკარად აღიარებს, რომ მათი ორიენტაცია წინადაც რუსეთთან მთლიანობის იყო და რომ ეხლაც არ ცვლიდენ მას. მაშ როდის იდგა სოც.-დემ.-თვის თავიდანვე ეროვნული მომენტი პირველ რიგებში?!

ნ. ჟ-ას სურვილისდამიუხედევად ისტორიის ჩარხი სხვანაირად მობრუნდა და საქართველო მაინც განთავისუფლდა. უცნაური პარადოქსი ჩვენი ცხოვრებისა ის იყო, რომ მენშევიკების სურვილების წინააღმდეგ განთავისუფლებულ საქართველოში სახელმწიფო ძალაუფლება მათ ჩაუვარდათ ხელში. ნ. ჟ-ა შეუდგა ახალ სახელმწიფოს აშენებას. მან თავის საპროგრამო სიტყვაში ამცნო ქვეყანას, თუ როგორი სახის უნდა ყოფილიყო ეგ მისი სახელმწიფო.*) გამოაცხადა-რა საქართველო სახელმწიფოებრივად „tabula rasa“ — დ, სთქვა: „ჩვენი წითელი გვარდია, კლასიურად შეგნებული მუშები და პარტიული ამხანაგები ტფილისისა და პროვინციისა, უმთავრესად კი ტფილისის, არიან ნამდვილნი მშენებელნი სახელწიფოსი“, და რომ ესენი არიან „სოციალ დემოკრატიული“ მშენებელნი, რომელნიც „სულ სხვა მიზნით აწარმოებენ თავის პოლიტიკას“. მაშასადამე, ცხადია, შენდებოდა პარტიული და არა ეროვნული სახელმწიფო, რომლის სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობაში ადგილი ჰქონდა დათმობილი უმთავრესად ტფილისის პარტიულ ამხანაგებს. მაგრამ საინტერესოა, თუ რად არ დაუთმო ნ. ჟ-ამ ამ აღმშენებლობაში გლეხობას ადგილი, იმ გლეხობას, რომელიც შეადგენს უდიდეს ნაწილს ჩვენი ხალხისა და რომელიც ჟ-ას პარტიას მხარს უჭერდა? ამაზე თვით ნ. ჟ-ა გვაძლევს პასუხს: „ერთათ ერთი საფრთხე ჩვენში, საქართველოში რესპუბლიკას და რევოლუციას მოელის შიგნით მხოლოდ გლეხობის მხრივ“, რადგან თუ რომელიმე კლასი მოკლებულია უნარს თავისთავს თვითონვე უხელმძღვანელოს, მაშინ „დემოკრატიული სისტემა მისთვის მიუღებელია და ასეთი კლასია სწორეთ გლეხობა“. ამისათვის „დროა ჩვენი სოც.-დემოკრატიული პარტია განთავისუფლდეს ოცნებობისაგან გლეხობაზე, დაუბრუნდეს მარქსს და ფრთხილად იდგეს სადარაჯოზე რევოლუციისა გლეხურ რეაქციის წინააღმდეგ. „რადგან“ ერთათ ერთი საფრთხე შიგნით ჩვენ რესპუბლიკას მოელის მხოლოდ ჩამორჩემილ გლეხობისაგან და რომ ისინი დავსძლიოთ და რევოლუციის მონაპოვარნი შევინარჩუნოთ, უნდა შეერთდნენ მუშები და მოწინავე გლეხები სისტემატიურ ბრძოლისათვის ამ „კონტრ-რევოლუციონურ ტალღის წინააღმდეგ. ნ. ჟ-ა გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა და ამავე დროს კი სახელმწიფოს მთავარ დასაყრდნობ ძალას გლეხობა წარმოადგენდა. ნ. ჟ-ას ეგრე აშენებული სახელმწიფო არ იყო ეროვნული, რადგან ის არა ქართველი ხალხის ნებისყოფის გამომხატველი იყო, არამედ სოც-დემოკრატიული პარტიისა. ის უდღეური იყო და კიდევაც დაიღუპა. ეხლა კი ნ. ჟ-ა ამ დაღუპვის მიზეზს მსოფლიო პოლიტიკის მსვლელობით ხსნის: რომ საერთაშორისო პირობები მიიმართა „უკრაინის და კავკასიის საწინააღმდეგოდო.“ რა შუაშია საერთაშორისო პირობები, როდესაც ნ. ჟ-ას მთავრობამ 20 000 ჯარისკაციც კი ვერ გამოიყვანა საბრძოლველად. რომ ნ. ჟ-ას მთელი შესაძლებლობა ეროვნულ თავდაცვისათვის გამოეყენებინა და მაინც დავმარცხებულიყავით, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი სხვა მიზეზების ძებნა. ეხლა სხვა მიზეზებს რას ეკიდება, როდესაც ჩვენი დამარცხების ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ ომისათვის სრულიად მოუმზადებელი ვიყავით და ერთი თვის განმავლობაში დავმარცხდით. ნ. ჟ-ა კი მსოფლიო პოლიტიკას ებღაუჭება და თავისი სახელმწიფოებრივი უვიცობა და უუნარობა მით უნდა გაამართლოს. აი ამისათვის უთქვამს ბრძნულად ჩვენს ერს: „რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო“ ილია იყო, რომ ნ ჟ-ას უწინასწარმეტყველა: „ქვეყნის აშენებას გვიქადის ბ-ნი ნ ჟ-ა და მისი აიარები . . . საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თითონ მამალსავით ხეზე შემჯდარა და იძახის: მე აქ ვიყივლებ და თქვენ მანდ ძირს იყეფეთ და სოფელი აშენდებაო. ამ იმედით ბრძანდებოდეს ნ. ჟორდანია და მისი კომპანია და რაც ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე წილს ნულარ დამიდებენ, არ დავემდურები“. თუ როგორ „ააშენა“ ნ. ჟ-ამ ქვეყანა —ეს ხომ ჩვენც დავინახეთ! . .

დამარცხდა სოც -დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ დარჩა ქართველი ერი მტკიცე ეროვნული ნებისყოფით. მტრის წინააღმდეგ თვით ხალხმა ააფრიალა ეროვნული ბრძოლის დროშა. ერმა წარმოშვა ისეთი გმირები, რომელთა მსგავსები მხოლოდ ისტორიაში და ლეგენდებში ყოფილა ცნობილი. ჟორდანია ვერ მიხვდა ამ ხალხის მიერ წარმოებულ ბრძოლის აზრს. ის ვერ მიხვდა, რომ ეს ბრძოლა არა პარტიულ-პოლიტიკური იყო, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი. 1925 წ. გამოცემულ თავის ორგანოს „ბრძოლა“-ს N. 1 ის წერდა: „პოლიტიკური და სოციალური რეაქცია—აი რითი შემოვიდა რუსეთი მეორეჯერ საქართველოში და აი რატომ ვართ და ვიქნებით მისი წინააღმდეგიო“ („ბრძოლის საკითხები“) ეხლაც ნ. ჟორდანია ამ ეროვნულ ბრძოლას სოციალ-პოლიტიკურად ხსნიდა მაშინ ქართველი ნაციონალისტები იყვნენ. რომ იცავდენ თვით ქართველ სოც -დემოკრატებს ჟორდანიას ასეთი ცილისწამებისაგან. ჟურნალი „სამშობლოსათვის“ N. 6, მას უპასუხებდა: „ასეთი არაა ქართველი ხალხის პოზიცია, ასეთი არ არის იმ ქართველ სოციალ—დემოკრატების პოზიციაც, რომელნიც დღეს საქართველოსათვის სისხლსა ღვრიან. თავისუფლება საქართველოსი ეს მათი გარდაუვალი პრინციპია მათთვის საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი ყოველთვის და მარად მიუხედავად იმისა, რა რეჟიმი იქნება რუსეთში ბოლშევიკური, მენშევიკური თუ მონარქისტული. ეს არ არის ეროვნული იდეალი ქართველი ხალხისა და გადაჭრით ვამბობთ, მის მებრძოლი სოც.-დემოკრატიული ნაწილის მათ იწამეს სამშობლო და მისი უზენაესობა და ყოველივე კერძო და კლასიური მას დაუმორჩილეს.“ ეხლა ქართველ საზოგადოებამ განსაჯოს, თუ ვინ აყენებდა პირველ რიგში „რეჟიმს“ და „ნაციას“. ნ. ჟ-ა და მისი ამალა, თუ ქართველი ნაციონალისტები. ნ. ჟ-იამ დაინახა, რომ ეს მისი იმედი ტფილისის და პროვინციის პარტიული-ამხანაგები და წითელ-გვარდიელები, რომელთაც საქართველოს სახელმწიფო უნდა აეშენებიათ, მასიურად გადადიოდა მტრის ბანაკში. ჯერ კიდევ ბათუმში დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზედ, ნ. ჟ-ის წყელვა-კრულვა მისივე ამხანაგმა ივ. გომართელმა შეუთვალა. ბრძოლის პერიოდში კი მენშევიკური პარტიული ხელმძღვანელები პ. გელეიშვილი და სხვანი ბევრნი, ჩამოშორდნენ ეროვნულ მებრძოლთა რიგებს.

ნ. ჟ-იამ დაინახა, რომ ეროვნულ ბრძოლაში მისი ჯარი არსად სჩანდა. პირიქით ისინი ქუჩაში დემონსტრაციებს აწყობდნენ და კათოლიკოზ ამბროსის და „დამკომის“ პროცესის დროს ეს ნ. ჟ-ას ბრბო მათი სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. ნ. ჟ-ა მიხვდა, რომ იქ სამშობლოში მისი პარტიის ჰეგემონია სამუდამოდ მოსპობილი იყო. ის შეშინდა და თავის „რა მოხდა“-ში, სადაც აჯანყების დაფასებას იძლეოდა, სწერდა: „პარტიამ უნდა შეინარჩუნოს როლი ჰეგემონიისა და თავის ირგვლივ შემოიკრიბოს, თავის ტაქტიკის ქვეშ დააყენოს ყველა სხვა უკმაყოფილო ელემენტები და პარტიები მან ხელიდან არ უნდა გაუშვას სადავე მოძრაობისა და შიგ შთაბეროს სოც.-დემოკრატიული სულისკვეთება“, რომ „ბოლშევიზმთან ნაყოფიერი ბრძოლა შეიძლება მხოლოდ სოციალისტური იდეოლოგიით და მას სავსებით უნდა დაეყრდნოს სოც.-დემოკრატიული მოქმედება“. ამის შემდეგ ეხლა ნ. ჟ-ა უსირცხვილოდ აცხადებს, რომ ნაციონალისტები არიან, რომ გამოდიან „მხოლოდ პარტიული ინტერესებიდან, ჯგუფურ მოსაზრებიდან. რაკი ესენი პირველ რიგში აყენებენ რეჟიმის საკითხს, ცხადია, ამით თავის მთავარ მიზნად ისახავენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას და ამ მხრით უდგებიან კოალიციის და ნაციის დაცვის საკითხსაც“. მეორე ადგილას კიდევ სწერს, რომ ნაციონალისტებმა ‚დააყენესრა თავისი კლასიური ინტერესი ეროვნულზე მაღლა, იძულებული არიან მოახდინონ კონცენტრაცია არა ნაციის, არამედ პროგრამის ნიადაგზე“. ზემოდმოყვანილი ნ. ჟ-ას სიტყვები ნათლად მეტყველებენ, თუ ვინ დააყენა კლასიური ინტერესები ეროვნულზე მაღლა და ვინ დგას არა ნაციის, არამედ პარტიულ პროგრამის ნიადაგზე. აი ამ კაცს, რომელიც მოკლებულია უბრალო სიმართლის გრძნობასაც და ასეთ დემაგოგიას ეწევა, პრეტენზიები აქვს ერის მეთაური იყოს. მართლადაც ადამიანი ყოველგვარ თავმოყვარეობას მოკლებული უნდა იყოს, რომ ის იწამოს.

კიდევ ათას ქართველთა სისხლი არ გამშრალიყო რომ ნ. ჟ-ა სამოქალაქო ომით იმუქრებოდა იმავე „რა მოხდა“ —ში სწერდა: „არსებობენ ფაშისტური ელემენტები, პიროვნებისა თუ ჯგუფის დიქტატურის მოტრფიალენი, ესენი უსათუოდ შეეცდებიან განთავისუფლებულ საქართველოში ხელში ჩაიგდონ მმართველობა და თავისი კლასიური სულისკვეთება მოახვიონ ერს . . . ასეთ შემთხვევაში ატყდება სამოქალაქო ომი. ამგვარ ელემენტებთან საერთო არაფერი გვაქვს. მათ ისევე უნდა ვებრძოლოთ, როგორც ბოლშევიკებს. „ამას დაუმატეთ ნ. ჟ-ას „არ გაჭაჭანების“ ბრძანება და მისი „ეროვნული ბრძოლის“ მეთოდი მთლიანი იქნება. ამის შემდეგ მას თავხედობა ჰყოფნის სხვებს უსაყვედუროს, რომ „მათი გონება შებოჭილია არა ნაციონალური, არამედ პარტიული მსოფლხედველობით; უწინარეს ყოვლისა არა საქართველო, არამედ მათი ჯგუფი და მათი კლასი“.

მაგრამ ასეთი სიტყვები ვეღარავიზე ახდენენ გავლენას. ან ვინ უნდა დაარწმუნოს ნ. ჟ-ამ, გარდა თავისი ამალისა, რომ ქართველი ნაციონალისტები რუსეთის მონარქისტებს შეუერთდებიან, ან რომ ისინი თავისი წოდებრივი პრივილეგიებისათვის იბრძვიან. ეს ხომ ძველი მენშევიკური ლექსიკონიდან არის ამოღებული. ამასავე გაიძახიან ბოლშევიკები იქ საქართველოში რამოდენიმე წელია, მაგრამ ჯერ ვერავინ დაურწმუნებიათ. . . რაიც არ უნდა ეცადოს ნ. ჟ-ა, ის ერის მეთაურობას ვერადროს ვერ ეღირსება. ის ემიგრანტული მთავრობის თავმჯდომარის როლში ამთავრებს თავის მოღვაწეობას და აქ მას არავინ შეედავება.

ერთხელ ნაივურმა ვ. მგელაძემ ნ. ჟ-ას მიმართა სიტყვით: „ნ. ჟორდანია, გაგვიძეხი სამშობლოში, ვით მოსე ებრაელებს ეგვიპტედან.“ თუ მართლა ნ. ჟ-ა ფიქრობს, რომ ქართველობა ვ. მგელაძესავით პრიმიტიულად აზროვნობს, ეს სასაცილოა და არა სამწუხარო. ქართველი ხალხი თავის მიწა-წყლიდან არ აყრილა და არსად გადასახლებულა. ის ისევ იქ არის თავის ქვეყანაში და ძველებურად თავის კეთილშობილ ოფლით რწყავს მშობელ მიწას. საქართველო არ საჭიროებს არც უცხოეთში გარდმოხვეწილ მენშევიკებს და არც მათ ნ. ჟორდანიას. ქართველ ერს ყოველთვის დაუწევია თავი უბედურებისაგან და დღესაც არ დაჰკარგვია მას ეგ მისი ეროვნული უნარი. ჩვენ გვწამს ეს უკვდავი ძალა ქართველი ხალხისა და გვწამს რომ ის თავს გადაირჩენს. ჩვენ ამ იმედით ვცხოვრობთ.

თუ როგორი არის საქართველოში პოლიტიკურ ძალთა განწყობილება, ეს არავინ იცის და არც საჭიროა ამის ცოდნა. ცხადია ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ქართველი ხალხი ქართულად აზროვნობს და მოქმედობს. მისი განცდები უაღრესად ეროვნულია. სოციალური გაერთიანებაც მოხდა და ის მოინათლა ათას ქართველთა სისხლში. ილიას ხიდი ხალხმა ააგო და მას საძირკველში ათას თავის შვილთა ძვლები ჩაუყარა.

სრულიად სამართლიანად სთქვა შალვა ამირეჯიბმა, რომ ძველი საარჩევნო ყუთები გადაყირავებულია. იმ ძველ ამომრჩეველთაგან ბევრნი ბუნებრივად გარდაიცვალნენ და ბევრნი კიდევ ბრძოლის ველზე დაიხოცნენ, ცოცხლად დარჩენილებშიაც სრული სულიერი გარდატეხა მოხდა. თანაც ახალი თაობა მოვიდა: მაშინ ათი წლის ბავში დღეს დავაჟკაცებული და დაქალებულია. ისინი ეროვნულ ბრძოლაში მომწიფდენ და მათი სულისკვეთება და განცდები ძველი საზომით ვერ გამოიცნობა. მათ უსათუოდ ვერც დემოკრატიზმით მოხიბლავს ვინმე და მით უფრო ვერც ნ. ჟ-ას მარქსისტულ-პროლეტარული იდეოლოგიით. უდაოა ის, რომ მომავალი საქართველო უაღრესად ნაციონალისტური იქნება. რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, აქ ახალი თაობა ბევრად უფრო რადიკალურია, ვინემ ძველი. ნაციონალიზმის მთავარი მიზანი სოციალური სამართლიანობა და ერის ყველა ნაწილთა ინტერესების შეთანხმებაა. ამ რიგად მომავალ საქართველოში ძველ პარტიულ დოქტრინებს არავითარი გასავალი არ ექნება, იქ სხვა ძალები და სხვა წესები დამყარდება.

სოც -დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი და მეთაური ს. ჯიბლაძე 1895 წ. თავის წერილში „კვალი და მესამე დასის მწერლები“ მესამე დასის შესახებ სწერდა: „როცა ეს ახალი დასი აასრულებს თავის ისტორიულ მისიას, ვინ იცის იქნება მასაც იგივე ბედი ეწიოს, რა ბედიც ეწია ჩვენ ძველ დასს. ასეთი მაგალითებით სავსეა ისტორია. მისი განვითარების ულმობელი ლოღიკა ამას თხოულობს. დღეს ის თავისი სიყვარულით ასაჩუქრებს და ეფერება ერთს იმიტომ, რომ ხვალ მას ზურგი შეაქციოს და თავისი მშობლიური ალერსი მეორეზე გადაიტანოს.“ ეს ასეც მოხდა: ეგ მესამე დასი ისტორიას ჩაბარდა და მისი ხელოვნურად გამოცოცხლება შეუძლებელია. მისი ადგილი დაიკავა ახალ თაობამ, ახალი სულით ნებისყოფითა და განცდებით. ამთაობის მამოძრავებელი ძალა ქართული ნაციონალიზმია.

ემიგრაცია იწამებს თუ არა ნ. ჟორდანიას, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ნ. ჟორდანია თვით ცხოვრებამ გადააყენა და ისტორიის ჩარხის მობრუნება არვის ძალუძს. ამიტომ ნ. ჟორდანიას მიმართვა ემიგრაციისადმი მის საერთო ფრონტში გაერთიანებისათვის უაზროც არის და უნიადაგოც.

ნიკო ნაკაშიძე.

---

*) ჩვენ ვსარგებლობთ ამ სიტყვის გერმანული თარგმანით.

N. Jordania „Marxismus und Demokratie“, Berlin 1921.

ტფილისში გარდაიცვალა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მებრძოლი, სახელწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

ალექსანდრე თორაძე

რასაც მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას.

Herausgegeben von der Organisation der georgischen Nationalisten in Deutschland e. V.
Verantwortlich: Kornelius Choschtaria, Berlin NW 87, Lessingstr. 23
Druck: ASMUS-DRUCK, Berlin-Charlottenburg, Berliner Straße 119